ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 6 იანვარი, 2021 | №2 (8531) | ფასი: 60 თეთრი

ხელვაჩაურში მეჩეთთან 45 წლის გია ბოლქვაძეს ყელი გამოჭრეს

„ჩემს რძალს ვიღაც მამაკაცი სასიყვარულო მესიჯებს წერდა“

გვ.5

„კალაძეს თუ 500 ტონა ლითონი მოპარეს, რა უნდა თბილისის მერად?!“

გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „რიგგარეშე არჩევნების გარეშე არაფერი ამ ქვეყანაში არ შეიცვლება“

გვ.3

„პარლამენტში სხვა პარტიებიდანაც შევლენ“

რამაზ საყვარელიძე: „ელჩებთან მე-5 რაუნდი მაშინ ჩატარდება, როდესაც დაგვავიწყდება, რას ეძღვნებოდა ეს რაუნდები“

„კობახიძის ლოგიკის დანახვა რთულია“

გვ.2

ნატო ჩხეიძე: „ოცნება“ ყველაფერს აქებს, რაც მის წისქვილზე ასხამს წყალს“

გვ.4

„რუსული სცენარი დღის წესრიგიდან არ გამქრალა“

ანზორ აბრალავა: „თუ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან სინქრონში არ მოვა, იქნება სოციალური უკმაყოფილება“

პეტრე მამრაძე: „საქართველოში ოპოზიცია კი არა, 21-ე საუკუნის შულავერის კომიტეტია“

გვ.4

ნიკა მელია: „ნაციონალურ მოძრაობაში დიდი გადალაგების დროა“

გვ.2

ISSN 1987-9385

2 „ამ პარტიაში რამდენიმე ასეული ათასი ლარი მაქვს შეტანილი“ ფრიდონ ინჯიამ პატრიოტთა ალიანსი დატოვა

5 კიევში სპეცრაზმმა გია დანელია და რომეო ფიფია აიყვანა

5 ამნისტია შეიძლება შეეხოს იმ პატიმრებსაც, რომლებიც პატიმრობისას სტუდენტები გახდნენ

6 5 იანვრიდან თებერვლის შუამდე ინგლისი მთლიანად ჩაიკეტა

ნატო ჩხეიძე: „კობახიძის ლოგიკის დანახვა რთულია“

„ოცნება“ ყველაფერს აქებს, რაც მის წისქვილზე ასხამს წყალს“

იაგო ნაცვლიშვილი

იმის მიუხედავად, რომ „პატრიოტთა ალიანსმა“ მანდატებზე უარი თქვა და პარლამენტში არ შედის, პარტიის წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში მაინც იქნება. ეს მოხდა იმის გამო, რომ პარტიამ სია არ ჩახსნა. პარლამენტის მანდატებზე უარი თქვეს ირმა ინაშვილმა, გოჩა ენუქიძემ და გიორგი ლომიამ. თუმცა, პარტიის სიით გასულმა წევრებმა ავთანდილ ენუქიძემ, გელა მიქაძემ, დავით ზილფიმიანმა და ფრიდონ ინჯიამ პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მიიღეს. მათგან პარტიის წევრი მხოლოდ ინჯია იყო, რომელმაც პარტია დატოვა.

რატომ არ ჩახსნა სია პარტიამ და შეცვლის თუ არა რამეს პოლიტიკურ ცხოვრებაში „პატრიოტების“ სიით დეპუტატების პარლამენტში შესვლა? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „პატრიოტთა ალიანსის“ ყოფილი წარმომადგენელი, ბლოკ „ძალა ერთობაშია“-ს წევრი **ნატო ჩხეიძე** საუბრობს.

– „პატრიოტთა ალიანსიდან“ 4 დეპუტატი შედის პარლამენტში. თქვენთვის რას ნიშნავდა ეს გადაწყვეტილება? მოულოდნელი იყო ეს და შეცვლის თუ არა რამეს პოლიტიკურ ცხოვრებაში?

– ვფიქრობ, რომ ბევრს არაფერს შეცვლის. იმიტომ, რომ ოპოზიცია ერთიანია და ეს ერთიანობა გამოიხატება იმაში, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერები ამ პარლამენტის ლეგიტიმურობას არ აღიარებენ. მართალი გითხრათ, ჩემთვის ცოტა გაუგებარი პოლიტიკური სვლაა თუნდაც ის, რომ, როგორც აღნიშნეს ბიზნესმენებმა, რაღაც მემარცხენე პოლიტიკას დაუჭირეს მხარი და მემარცხენე მიმდინარეობა გაიხადეს უფრო პრიორიტეტული. როგორც თავად თქვეს, მათ დაირქვეს ევროპელი სოციალისტები და რაღაც ახალ პარტიას ქმნიან. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ არჩევნების დროს რაც იყო არსებული პარტიები, ისინი არ აღიარებენ გაყალბებული არჩევნებით მიღებულ პარლამენტს და მის შემადგენლობას, რაც ასევე გაგრძელდება.

– თქვენ იყავით პატრიოტებში და შიგნიდან იცით ვითარება. თქვენთვის თუ იყო დამაჯერებელი ირმა ინაშვილის განმარტება და როგორ ფიქრობთ, რატომ არ ჩახსნა პარტიამ სია?

– მე იმ ოთხი წლიდან, რაც პარლამენტის წევრი ვიყავი, დიახ, 2 წლის განმავლობაში ვიყავი ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრი, დანარჩენი ორი წელი კი დამოუკიდებელი დეპუტატი ვიყავი. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ბევრი რამე შეიცვალა. რომ გითხრათ, რომ შიგნიდან რამე ვიცი, ეს ასე არაა. არც მაშინ არ ვიცოდი ძალიან შიგნიდან. იმიტომ, რომ მე არ ვყოფილვარ პარტიის წევრი და პარტიული გადაწყვეტილებები კარგად არც მაშინ არ ვიცოდი. მით უმეტეს, ახლა არ ვიცი, შესაბამისად, ვერ გეტყვით, რატომ არ ჩახსნეს. ალბათ ფიქრობდნენ, რომ თუ პოლიტიკური ლიდერები არ შევიდოდნენ პარლამენტში, მაშინ არც სხვები არ შევიდოდნენ. ალბათ... ვერ გეტყვით.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ მაინც დაიტოვეს პოლიტიკური ვაჭრობის გზა „ქართულ ოცნებასთან“?

– ბევრი ეგრეც იფიქრებს, ბევრი სხვანაირად იფიქრებს. ამიტომ, დაველოდოთ იმ ვითარებას, როდესაც კიდევ ერთხელ იქნება არჩევნები და მაშინ ამომრჩევლის დამოკიდებულება მკვეთრად გამოჩნდება ამ საკითხთან დაკავშირებით.

– ირაკლი კობახიძემ „პატრიოტთა ალიანსზე“ საუბრისას განაცხადა, რომ კარგია, პრორუსული ფრთა რომ არ შემოვიდაო. ნაწილს პრორუსულად აღიქვამენ და ნაწილს არა?

– იცით რა? პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის განცხადებებსა და აზრთა მიმდინარეობაში ლოგიკის დანახვა ძალიან რთულია. ასეთი რამე მაშინაც არ უთქვამთ, როდესაც „პატრიოტთა ალიანსი“ პარლამენტში იყო. ალბათ ახლა რაღაცით უნდა გაამართლონ ის ვითარება, რაც ახლა შეიქმნა. ყველაფერი ის, რაზეც ამბობენ, რომ მათ წისქვილზე ასხამს წყალს, უნდა აქონ. ამ ქების იქით რა ლოგიკაა, იმას აღარ უკვირდებიან. რა თქმა უნდა, აბსურდია ის, რაც ბატონმა კობახიძემ თქვა, მაგრამ ეს არც პირველია და არც უკანასკნელი.

– სადაც თქვენ ხართ, იმ გაერთიანების მთავარი პარტიის – „ნაცმოძრაობის“ შესახებ გამოიყენა ტერმინი „ანტიდასავლური ძალა“. ამაში თუ დაინახეთ რაიმე ლოგიკა?

– დიახ, ჩემი პარტია – „მოძრაობა ხალხისთვის“ არჩევნებზე გამოვიდა ბლოკის სახით „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად და ის, რომ მას უწოდო პრორუსული, ესეც აბსურდია. მეტი კომენტარის გაკეთება არ შეიძლება. კობახიძის მაგ ნათქვამის მიმართ ხალხური გამონათქვამი შეიძლება ვთქვა – „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“.

– ხომ არ დაინახეთ ხელების გადაგრეხვის პოლიტიკა, რომ როგორმე შეიყვანონ ვინმე პარლამენტში? ფულით, გარიგებით, დაშინებით და ა. შ. არის თუ არა ეს და თქვენთანაც ხომ არ ყოფილა მცდელობა, რომ პარლამენტში შესვლაზე დაეთანხმებინეთ?

– ეს პარლამენტი არ არის ლეგიტიმური იმის გამო, რომ გაყალბდა არჩევნები და შეიქმნა სერიოზული კრიზისი. 11 დეკემბერს, პირველ სხდომაზე „ქართული ოცნება“ იყო მარტო და აგერ 1 თვის განმავლობაში ის ერთპარტიულად მართავს პარლამენტს. ეს არის პრობლემა და, ცხადია, რომ მის მოგვარებას სხვადასხვა მეთოდებით შეეცდებოდნენ. დავინახავთ შედეგებს მომავალ პარლამენტში.

– არჩევნებზეც და მის შემდეგაც დასავლეთი არ იყო იმდენად აქტიური, როგორი მოლოდინიც გვქონდა. ეს ხომ არ მიანიშნებს იმას, რომ საქართველო აღარ არის ისეთი პრიორიტეტული, როგორც აქამდე იყო, განსაკუთრებით კი ევროპისთვის?

– მე ვფიქრობ, რომ საქართველო ევროპისთვისაც და ამერიკისთვისაც პრიორიტეტულია. მაგრამ დასავლეთს ხიბლავს სტაბილურობა და მათ მიაჩნიათ, რომ პარლამენტებში პოზიცია და ოპოზიცია თანამშრომლობენ და ერთად მართავენ ქვეყანას. ამიტომ, მათი მენტალობა ასეთია, რომ ოპოზიცია უნდა იყოს პარლამენტში.

მეორეა ის რეალობა, რაც საქართველოშია შექმნილი. საქართველოს პარლამენტში თანამშრომლობის კი არა და ოპოზიციის სიტყვას არ ითვალისწინებენ, ოპოზიციის ნათქვამსაც კი არავინ უგდებს ყურს, თანამშრომლობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. თუ დაინახავენ, რომ ანტიდემოკრატიულია „ქართული ოცნების“ მართვის სტილი... ამის დანახვა მხოლოდ მკვეთრი ნაბიჯებით არის შესაძლებელი. ამას რომ დაინახავენ და შეიგრძნობენ, მერე იქნება მათგან ის დამოკიდებულება, რომ კრიზისი აღარ იყოს ქვეყანაში.

– ოპოზიცია ამიტომაც დგამთ მკვეთრ ნაბიჯებს?

– არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კარგად დაინახონ, არამედ იმიტომაც, რომ ამ გაყალბებული არჩევნებითაც კი, მოსახლეობის უმეტესობას, 50%-ზე მეტს მიაჩნია, რომ ქვეყანას უნდა მართავდეს კოალიციური მთავრობა. ამიტომ, მოსახლეობისა და ოპოზიციის დგომა შეურყეველი მოქმედებაა, რაც განაპირობებს იმას, რომ კრიზისის გაღრმავებას ძალიან აშკარად დაინახავენ, რაც არანაირად არ სურთ მათ ჩვენ ქვეყანაში. მერე ნამდვილად მოინდომებენ, რომ სტაბილურობა იყოს ჩვენ ქვეყანაში და ამას საქართველოში აუცილებლად განსაზღვრავს კოალიციური ხელისუფლება და არა – „ქართული ოცნების“ მმართველობა.

ნიკა მელია: „ნაციონალურ მოძრაობაში დიდი გადალაგების დროა“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ ნიკა მელიამ 4 იანვარს ფეისბუქში დაწერა:

„რაც არ უნდა ორგანიზებული და შემართული იყოს პოლიტიკური ძალა, გარკვეულ ხანში, ყოველთვის დგება განახლებისა და ცვლილებების აუცილებლობის ეტაპი.

დღეს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში სწორედ დიდი განახლების, დიდი გადალაგების დროა და ეს კანონზომიერია.

ცვლილებების აუცილებლობა არ ნიშნავს იმას, რომ აქამდე ბევრი რამე არასწორად ხდებოდა, არც იმას, რომ ვინც წინა ფლანგზე ჩანდა, დაუმსახურებლად ჩანდა და ამიერიდან აღარ უნდა ჩანდეს.

ცვლილებების აუცილებლობას ქმნის ის გამოწვევები, რომელიც პარტიის, საერთოდ ქვეყნის წინაშეა – დასამარცხებელია და ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებელია ძალა, რომელიც ქვეყანას დიდ და ღრმა უფსკრულისკენ მიაქანებს.

ამ ძალის დასამარცხებლად არ კმარა და აშკარად გასაფართოვებელია არსებული ფრონტი. სწორედ ამიტომ აუცილებელია შემოგვიერთდეს ამ ქვეყნის რაც შეიძლება მეტი მოქალაქე, როგორც ენერგიით სავსე ახალგაზრდები, ახალი თაობა, ისე გამოცდილებით სავსე უფროსი თაობა. შემოგვიერთდეს ხალხი, რომელიც აქამდე თავს არიდებდა ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად ბრძოლას, ან საერთოდ პოლიტიკურ პროცესებს.

ძალიან ბევრი, აქამდეც იყვნენ ჩვენ რიგებში და იბრძოდნენ კიდეც ჩვენს მხარდამხარ, მაგრამ ამიერიდან მათ მეტი გასაქანი უნდა მიეცეთ და მივცემთ კიდეც.

დიდი და მასშტაბური ფრონტი ყველას აძლევს ასპარეზს – მათაც, ვინც აქამდე ჩვენთან ერთად არ იბრძოდა, მათაც, ვინც ზურგს გვიმაგრებდა და ახლა მხარდამხარ იბრძოლებს და მათაც, ვინც აქამდე წინა ხაზზე იდგა.

ახლა ყველა ერთად და მხარდამხარ ვიბრძოლებთ ერთიანი მიზნისთვის

ჩვენ არ გვინდა ძველი ძალების ახლით ჩანაცვლება, ჩვენ გვინდა ჯამის შეცვლა და შესაბამისად – შესაკრებთა შეკრება და არა შესაკრებთა გადაადგილება.

ძალა ერთობაშია.

ძალა საკუთარი ძალების რწმენაშია.“

დავით ზილფიმიანი, ფრიდონ ინჯია და გელა მიქაძე დეპუტატები გახდნენ

გუშინ, 5 იანვარს, „პატრიოტთა ალიანსის“ პარტიული სიის სამი წევრის დავით ზილფიმიანის, ფრიდონ ინჯიასა და გელა მიქაძის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობაზე პარლამენტმა რიგგარეშე სესიაზე იმსჯელა და მხარი ერთხმად დაუჭირა.

გელა მიქაძის უფლებამოსილების ცნობას მხარი 82-მა დეპუტატმა დაუჭირა, ფრიდონ ინჯიას – 81-მა დეპუტატმა, დავით ზილფიმიანის უფლებამოსილების ცნობას კი 82-მა დეპუტატმა.

როგორც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა განაცხადა, ირმა ინაშვილის ადგილმონაცვლე პარლამენტში გელა მიქაძე იქნება, გიორგი ლომიას ფრიდონ ინჯია ჩაანაცვლებს, ხოლო გოჩა თევდორაძეს – დავით ზილფიმიანი.

პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის თქმით, ოპოზიცია უკვე წარმოდგენილია პარლამენტში და ისინი მონაწილეობას მიიღებენ ამ მომენტიდან საპარლამენტო საქმიანობაში.

დავით ზილფიმიანმა, ფრიდონ ინჯიამ და გელა მიქაძემ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დეპუტატის ადგილმონაცვლეობაზე თანხმობის შესახებ მიმართეს. პარლამენტმა „პატრიოტთა ალიანსის“ სამ დეპუტატს ირმა ინაშვილს, გიორგი ლომიასა და გოჩა თევდორაძეს სადეპუტატო უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტა. „პატრიოტთა ალიანსს“ საარჩევნო სია არ ჩაუხსნია.

„პატრიოტთა ალიანსის“ სიით დეპუტატის მანდატზე უარის თქმას ასევე არ აპირებს ავთანდილ ენუქიძე.

„ამ პარტიაში რამდენიმე ასეული ათასი ლარი მაქვს შეტანილი“

ფრიდონ ინჯიამ პატრიოტთა ალიანსი დატოვა

პარლამენტში პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ პარტიული სიით შესული დეპუტატი ფრიდონ ინჯია, სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, „პატრიოტთა ალიანსს“ ტოვებს.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ის ახალ პარტიას „ევროპელ სოციალისტებს“ აყალიბებს, რომლის ყრილობასაც უახლოეს პერიოდში გეგმავს.

– პარლამენტში შესვლასთან ერთად, მე ვტოვებ „პატრიოტთა ალიანსს“. ეს ჩემთვის მტკივნეული გადაწყვეტილებაა, რადგანაც წლების განმავლობაში ბევრი რამ მაქვს გაკეთებული ამ პარტიის წინსვლისა და წარმატებისთვის. ბევრი რამ გვაქვს გაკეთებული, ვიდრე ეს რამდენიმე ასეული ათასი ლარით აისახება, როგორც შენატანი. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჩვენს გადაწყვეტილებას დადებითად შეაფასებს.

ამასთანავე, არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო პარტიის თავმჯდომარეს, დავით თარხან-მოურავს, გენერალურ მდივანს ირმა ინაშვილს, რომ მოგვცა საშუალება, ვიყოთ ამ პარლამენტში ამ სტატუსით, – განაცხადა ფრიდონ ინჯიამ.

„გორში ზურაბ დუღაძის გარდაცვალება შორენა ბლიაძის არასწორი მკურნალობის შედეგია“

რა მოხდა გორმედში

„გორმედში“ 52 წლის მამაკაცი, ზურაბ დუღაძე გარდაიცვალა.

„ქართლის“ ცნობით, ამის გამო, გუშინ, 5 იანვარს, დილით, კლინიკის შესასვლელში ხმაური იყო.

დუღაძის ოჯახი, მამაკაცის გარდაცვალებაში კლინიკა „გორმედის“ ექიმებს ადანაშაულებს. ისინი თვლიან, რომ მედიკოსებმა პაციენტი ხელოვნურად დაამძიმეს და მას მოგვიანებით, ანემიის დიაგნოზი დაუსვეს.

მამაკაცი კლინიკაში დაბალი ტემპერატურით შეიყვანეს, ის კოვიდ გადატანილი იყო და ფილტვების პნევმონია ჰქონდა. ექიმებმა უთხრეს, რომ მას ანემია ჰქონდა და დიდი რაოდენობით სისხლი გადაუსხეს.

ზურაბ დუღაძის ოჯახის წევრები კატასტროფის ბრიგადით თბილისის კლინიკაში პაციენტის გადაყვანას ითხოვდნენ, თუმცა, მათი თქმით, „გორმედში“ კატასტროფის ბრიგადა არ გამოიძახეს, ხოლო ოჯახს განუცხადეს, რომ პაციენტი საკუთარი სახსრებით გადაეყვანათ სასურველ კლინიკაში.

– შორენა ბლიაძე არის მისი მკურნალი ექიმი, ვის ხელშიც ეს პაციენტი დაიღუპა და ვინც არასწორი მკურნალობა ჩაუტარა. თუ თავად მოაშორებენ ამ ექიმს, გავჩერდებით, თუ არა და საქმეს ასე არ დავტოვებთ, – უთხრა რუსთავი 2-ს ოჯახის წევრმა თამარ სამხარაძემ.

„გორმედში“ ბრალდებებს არ იზიარებენ და ამბობენ, რომ პაციენტს ყველა საჭირო დახმარება აღმოუჩინეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძეს თუ 500 ტონა ლითონი მოპარეს, რა უნდა თბილისის მერად?!“

ლევან ხაბეიშვილი: „რიგგარეშე არჩევნების გარეშე არაფერი ამ ქვეყანაში არ შეიცვლება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

– ლევან, თბილისის მერის ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდა. მეორადი მოხმარების ლითონის გაქრობას ვგულისხმობ. ახალი კორუფციული ფაქტია თუ რასთან გვაქვს საქმე? კალაძე აცხადებს, რომ მოიპარესო. ასეა?

– იმის დაჯერება, რომ 500 ტონა ლითონი მოიპარეს, ცოტა უცნაურია. ეს მკითხველმა კარგად უნდა აღიქვას, საუბარია რამდენიმე ათეულ რკინით დატვირთულ ტრაილერზე და ეს მოიპარა ვიღაცამ? ეს ხომ არ არის 5 და 10 კილო, ასეულობით ტონა რკინა დაკარგეს?! ამის დაჯერება, რომ ვიღაცამ ტონობით რკინა ისე მოიპარა, რომ კალაძემ და მერიამ ვერაფერი გაიგო, ეს წარმოუდგენელია.

– ანუ, არ იციან, სად გაქრა?

– კი, დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე ასე თქვეს, რომ მოიპარეს. თვითონ მერმა თქვა, რომ მოიპარეს 500 ტონა რკინა. რამდენიმე ათეული ტრაილერი მილები ისე მოიპარეს მერიის თვალწინ, რომ ქალაქის მერი ჩვენ გვეუბნება მოიპარეს და რა ვქნათო. დარწმუნებული ვარ, რომ რეალობაში სულ სხვა რამ მოხდა. გლდანზეა საუბარი.

– ხიზანიშვილის ქუჩის რეაბილიტაციაზე?

– დიახ, ხიზანიშვილის და ვეკუას ქუჩების რეაბილიტაციაზეა საუბარი. როგორც კი მილები ამოიღეს, მაშინვე უნდა მომხდარიყო ამის ან დასაწყობება, ან აუქციონზე გატანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიამ, რომელმაც ამოიღო, ამ რკინის ტრანსპორტირება რახან არ იდო ხელშეკრულებაში, ისინი ამ რკინას არ გაიტანდნენ. დარწმუნებული ვარ, ეს რკინა გააჩუქა ბატონმა კალაძემ. უთხრა ვიღაცას, რომ წაიღე, ბატონო, არ მჭირდება მე ეს რკინა. აქ არის საუბარი დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ქონებაზე. საბოლოო ჯამში, როცა აუდიტის სამსახური შევიდა, ამ ხიზანიშვილი-ვეკუას დოკუმენტაციის მოძიების დროს, აღმოჩნდა, რომ მინიმუმ ნახევარი მილიონი ლარის რკინა გამქრალია. არანაირი საბუთი არ არსებობს. არც ზედნადებებია, არც მიღება-ჩაბარებებია.

– ანუ, როდესაც ქუჩების რეაბილიტაცია ხდება, ეს მეორადი მოხმარების მილები სად მიდის, საჯარო უნდა ხდებოდეს ეს ინფორმაცია?

– დიახ. ეს მილები ან აუქციონზე უნდა გადიოდეს, ან კომპანიის, რომელსაც მოგებული აქვს ტენდერი, ხელშეკრულებაში უნდა იყოს წინასწარ გათვალისწინებული, რომ იქ არის იქს ღირებულების თანხის მილები და ხელშეკრულებაში უნდა დებულიყო ვალდებულება, რომ ეს მილები კომპანიას წაეღო, ან შეესყიდა. ეს კონტრაქტის პირობებში უნდა ყოფილიყო. კონტრაქტის პირობებში ეს გამორჩათ, ან სპეციალურად გამოტოვეს. ხელშეკრულებაში არაფერი მიუთითეს და ასე გააქრეს. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

– ფიქრობთ, რომ კომპანიას მისცეს?

– არა, სიმართლე გითხრათ, ამ კომპანიაზე საერთოდ არ მაქვს ეჭვი. კალაძემ უნდა იცოდეს, ვის მისცა და სად წავიდა. მის გარეშე, 500 ტონა რკინას იქიდან ვერავინ ვერ გაიტანა. დღეს და გუშინ კი არ არის ეს მოპარული, როდესაც ეს მილები ამოიღეს, მაშინ მოხდა მისი გატანაც. ამ ყველაფერს კი დოკუმენტაციაში არ ატარებდნენ. როცა აუდიტის სამსახურმა ვერ მოიძია დოკუმენტაცია, კალაძე მიხვდა, რომ ამ ამბავს ოპოზიცია გაიგებდა და მან პიარულად გადადგა ნაბიჯი, დაასწრო თავის ჭკუით აუდიტს და ოპოზიციას და თავადვე მოყვა, თვითონ როგორი კარგი ტიპია და ვიღაცამ მოიპარა. ანუ მაქსიმალურად ირიდებს პასუხისმგებლობას. სანამ ჩვენ ვეტყოდით, როგორ დაკარგე 500 ტონა, თვითონვე თქვა – დავკარგე და ამაზე გამოძიება უნდა დაიწყოსო. აქაც პიარი ჩართო.

– ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას?

– ვერა. რამდენიმე წელი ამ ქუჩების რეაბილიტაციას ვინ ატარებდა? – მერია. ზედამხედველობასაც მერია უწევდა, ამ მილებზეც პასუხისმგებელი მერია იყო. პირადად აკონტროლებდა ამ ქუჩებზე სამუშაოებს კალაძე და იქიდან გვთავაზობდა ხოლმე ლაივებს ყოველ საღამოს. ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება კალაძეს და დედაქალაქის მერიას. მერი თუ ამბობს, რომ 500 ტონა რკინა, თბილისელების ქონება, ისე მოპარეს, რომ თავად არაფერი იცის, მაშინ მერიც არ უნდა იყოს. თუ რამდენიმე ტრაილერი რკინა შენ თვალწინ ისე გააქვთ, რომ შენ ვერაფერს იგებ, მაშინ რა გინდა ამ თანამდებობაზე?! ეს ასობით ათასი ლარი გატყდა რამდენიმე კაცზე და წავიდა კონკრეტული ადამიანების ჯიბეში, მორჩა და დამთავრდა. როცა აღმოჩნდა, რომ დოკუმენტაციას ითხოვს აუდიტი, აი აქ გაიჭედა ეს ჩვენი მერი. მუდმივად იმის ძახება ამ კაცისგან, რომ მე არაფერ შუაში არა ვარ, ეს რანაირი ამბავია?! საგამოძიებო უწყებებიც მერით და მერიის სამსახურებით უნდა დაინტერესდნენ.

– პოლიტიკურ პროცესებს როგორ აფასებთ? პარლამენტმა განაახლა მუშაობა და მოლოდინია, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი შედის პარლამენტში. რა პროცესი მიმდინარეობს ოპოზიციაში და საერთოდ ამ მოლაპარაკებებმა აზრი ხომ არ დაკარგა?

– დღეს ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი არის მკვდარი. მიტაცებული აქვს ერთ ადამიანს ხელისუფლება, არჩევანის უფლება მოქალაქეს ჩამორთმეული აქვს. ამიტომ ერთადერთი, ოპოზიციას რაც დარჩა, არის ის, რომ ეს ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ. რაც ნიშნავს იმას, რომ რიგგარეშე არჩევნები ახალი ადმინისტრაციის პირობებში ვაიძულოთ ხელისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არამც თუ პოლიტიკურ პროცესს არაფერი არ ეშველება, არაფერი არ ეშველება ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. რიგგარეშე არჩევნები უნდა ვაიძულოთ ხელისუფლებას. სხვა შემთხვევაში, ამ პოლიტიკურ კრიზისს არაფერი არ ეშველება. ჩვენს მოქალაქეებს ყოველდღიურად კიდევ უფრო გაუჭირდება, კიდევ უფრო მეტი კრიმინალი იქნება. ამიტომ ან ამ ჩიხიდან გამოვალთ, ან არადა ვიქნებით უმძიმეს მდგომარეობაში. ამ რაუნდებს და მოლაპარაკებასაც ერთადერთ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ დაინიშნება ახალი არჩევნები. თუ არადა, ვიქნებით უმძიმეს მდგომარეობაში. მაშინ, როცა მიტაცებულია ხელისუფლება, წარმოუდგენელია საქმიან პოლიტიკურ პროცესზე იფიქროს ვინმემ.

– შედის ოპოზიციის გარკვეული ნაწილი და ხელისუფლებაც იტყვის, რომ ლეგიტიმურია პარლამენტი და რა ვადამელ არჩევნებზეა საუბარი?

– ხელისუფლება ბევრ რამეს იტყვის. აბა იმას ხომ არ იტყვიან, რომ ხელები გადაგიგრიხეთ და არჩევანის უფლება წაგართვითო. არ უნდა მივცეთ იმის უფლება, რომ დიქტატურა დაკანონდეს. ეს ქვეყანას ძვირი დაუჯდება. აუცილებელია ოპოზიციის მყარი პოზიცია და ეს შედეგს აუცილებლად გამოიღებს. მესმის, რომ რთული და ეკლიანი გზაა, მაგრამ გარდაუვალი. სხვა შემთხვევაში მოგვიწევს ვითამაშოთ პოლიტიკოსობანა. ტყუილად ნუ შევქმნით იმის ილუზიას, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობს. მსგავსი არაფერი ხდება. მხოლოდ ერთ კაცს აქვს ხელისუფლება მიტაცებული.

– 2022 წლის არჩევნებზე ლაპარაკობს ოპოზიციის ერთი ნაწილი.

– არანაირი 2022-ზე და 2023-ზე ლაპარაკი არ ქონია ოპოზიციას. ინდივიდუალურად ვინ რას განიხილავს, ეს მე არ ვიცი. განიხილონ და იფიქრონ, მე ერთს ვამბობ, რომ რიგგარეშე არჩევნების გარეშე არაფერი ამ ქვეყანაში არ შეიცვლება.

„პარლამენტში სხვა პარტიებიდანაც შევლენ“

რამაზ საყვარელიძე: „ელჩებთან მე-5 რაუნდი მაშინ ჩატარდება, როდესაც დაგვავიწყდება, რას ეძღვნებოდა ეს რაუნდები“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, „პატრიოტთა ალიანსის“ რამდენიმე წევრის პარლამენტში შესვლას შეიძლება გაგრძელება მოჰყვეს უკვე სხვა პარტიებიდან? თუმცა, ირმა ინაშვილი აცხადებს, რომ პარტიის არა პოლიტიკური სახეები, არამედ ბიზნესმენები შევიდნენ პარლამენტში.

– ფაქტია, რომ ეს ადამიანები ამ პარტიის საარჩევნო სიაში შეიყვანეს არა დიფერენცირებულად ვინ პოლიტიკოსია და ვინ ბიზნესმენი, არამედ სიას წარმოადგენდნენ, შესაბამისად, პარტიას წარმოადგენენ. ვიცით, რომ ბევრს დიდი წვლილი აქვთ პარტიის ცხოვრებაში შეტანილი.

– პარტიას აფინანსებდნენ.

– დიახ, გამოდის, გარკვეული პოლიტიკური მოტივით აფინანსებდნენ, ისე ხომ არ აფინანსებდნენ. როდესაც უშედეგო პოზიციაზე დიდხანს დგეხარ, მერე აცნობიერებ, რომ რაღაც უნდა შეცვალო, რომ შედეგი მიიღო. მაღაზიის დიდ რიგში თუ ის დასრულდა რისთვისაც დგახარ, რიგში დგომას უაზროდ ხომ ვერ გააგრძელებ?!

ამდენად, ადამიანები, რომლებიც ბოიკოტის რეჟიმში არიან, თუ ვერ დაინახავენ, რომ ბოიკოტს რაიმე შედეგი აქვს, რა თქმა უნდა, აღარ გააგრძელებენ ბოიკოტის რეჟიმში ყოფნას და გადადგამენ იმ ნაბიჯს, რომლისთვისაც ენერგია, სახსრები, ნერვები და ბევრი რამე აქვთ დახარჯული. სულ არ გამკვირვებია, ეს ადამიანები პარლამენტში რომ შევიდნენ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ისინი შევიდნენ ბიზნესინტერესებისთვის და არა პოლიტიკური ინტერესებისთვის?

– ამას საკვანძო საკითხად არ გავხდიდი, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ ვინც პოლიტიკის დროშის ქვეშ ასპარეზობს, მათ არ აქვთ ბიზნესინტერესები და სრულიად დაცლილები არიან ფინანსური ინტერესებისგან. ოპოზიციის გარკვეულ რიგებში გამოჩნდა, რომ ბევრისთვის თუნდაც ბიუჯეტისგან დაფინანსების მიღება ძალიან დიდ ინტერესს წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, ამ ბიზნესმენებს პოლიტიკური ინტერესებიც აქვთ, რადგან მათ შეეძლოთ სხვა პარტიები დაეფინანსებინათ და მათი პარტიის წევრები გამხდარიყვნენ. ეს შეეძლოთ მათ სახელისუფლო პარტიით დაწყებული, ნებისმიერი ოპოზიციური პარტიით დასრულებული. თუმცა, მათ არჩევანი ამ პოლიტიკურ ძალაზე გააკეთეს, როგორც ჩანს, გარკვეული პოლიტიკური მოტივაციით.

– პარლამენტში შესვლის პროცესი შეიძლება „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების შესვლით არ დასრულდეს და სხვა პარტიებიდან გაგრძელდეს?

– დიახ, ეს პროცესი ნამდვილად გაგრძელდება და უკვე არა „პატრიოტთა ალიანსიდან“, რადგან ეს ადამიანები ადგილმონაცვლეები არიან, არამედ ეს პროცესი უკვე სხვა პარტიებში გაგრძელდება. დიდხანს ადამიანებს გაურკვევლობაში უჭირთ, ვერ რჩებიან. ამიტომ, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ სხვადასხვა პარტიებიდან დაიწყოს უკვე ანალოგიური პროცესი. პარლამენტის ტრიბუნიდან იქნებიან ოპოზიციაში და ამით მისცემენ მეტ შინაარსს და დატვირთვას თავიანთ პოზიციას. ეს პროცესი გაგრძელდება.

– ალეკო ელისაშვილისა და ლევან იოსელიანის შესვლით?

– სიმართლე გითხრათ, მე ის მიკვირს, რომ აქამდე არ შევიდნენ. ვინც ნაკლებად მგრძნობიარეა ბულინგის მიმართ, მოღალატის ძახილისა და ა.შ. ისინი შევლენ და ამ სურათის მოწმენი ვართ ამ შემთხვევაში. თუმცა, არიან ჯგუფები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ბულინგს, მათ იარლიყებს ანგარიშს უწევენ. მე ასე ვიტყოდი, დღეს, პარლამენტში შესვლა – არ შესვლის ტემპი ბულინგის მიმართ მგრძნობელობაზე გადის.

– არჩილ თალაკვაძე აცხადებს, რომ ოპოზიცია უკვე წარმოდგენილია პარლამენტში. ეთანხმებით?

– ოპოზიცია, წარმოდგენილი ისე, რომ კენჭისყრის შედეგებზე გავლენა მოახდინოს, არც ადრე არ იყო და არც კიდევ დიდხანს არ იქნება იმ პროპორციით, რომ, მაგალითად, საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდეს. თუმცა, კენჭისყრის გარეშე თუ განვიხილავთ პარლამენტში ოპოზიციას, რისთვისაც არის წარმოდგენილი საერთოდ ოპოზიცია, რომ მათ ოპოზიციური აზრი გააჟღერონ, კამათში შევიდნენ უმრავლესობასთან, განსხვავებული აზრი წარმოადგინონ, დებატები გამართონ, ოპოზიციაში ყოფნა ამ ფუნქციების შესრულებაა.

– ამ ფუნქციებს შეასრულებენ ეს ბიზნესმენები? ელოდებით ასეთ პოზიციებს მათგან?

– ზოგიერთებისგან ველოდები, ზოგიერთებისგან – არა. ფრიდონ ინჯიას ვიცნობ მისი შორეული წარსულიდან, როდესაც მინისტრი იყო, მინახავს დებატებში. თუმცა, რამდენად შეძლებენ პოლიტიკურ დებატებს, ოპონირებას გარკვეულ კანონპროექტებზე, ვერ გეტყვით. საერთოდ ბიზნესფიგურები პარლამენტში უფრო პასიურები არიან. თუმცა, მათ შეუძლიათ სწორედ იმისთვის, რათა გაიმყარონ პოლიტიკური პოზიციები, გაიჩინონ გარკვეული მრჩეველთა ჯგუფები, რომლებიც მათ მოუმზადებენ პოლიტიკურ წინადადებებს, კანონპროექტებს თუ, რასაკვირველია, ისინი გადაწყვეტენ ხმის ამოღებას პარლამენტში.

– შეიძლება ვთქვათ, რომ რაუნდების პროცესი დასრულდა?

– ამ ეტაპზე შეიძლება ვთქვათ, რომ დასრულდა. დასრულდა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდანაც. ხელისუფლებას დასრულების მოტივი აქვს, მან საპარლამენტო ცხოვრება დაიწყო. მას მეტი ამოცანა არ ედგა. მისთვის არ იდგა საკითხი – ოპოზიცია იქნება თუ არა მწვავე!

რაც შეეხება ოპოზიციას, მანაც დაასრულა, რადგან მისი მიზანი არ ყოფილა პარლამენტში შესვლა. ამდენად, შინაგანი მიზეზებიც არის, თუ რატომ არ არის შემდეგი რაუნდი. შეიძლება მე-5 რაუნდი მაშინ ჩატარდეს, როდესაც დაგვავიწყდება, რას ეძღვნებოდა ეს რაუნდები.

„რუსული სცენარი დღის წესრიგიდან არ გამქრალა“

ანზორ აბრალავა: „თუ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან სინქრონში არ მოვა, იქნება სოციალური უკმაყოფილება“

მარიამ მჭედლიშვილი

ყველა თანხმდება, რომ 2021 წელიც მრავალმხრივად რთული და პრობლემური იქნება. რა ხდება საქართველოს პარლამენტში? რა ამოცანების შესრულებას განაგრძობს ოპოზიცია? რატომ წავიდა გრიგოლ ვაშაძე ნაციონალური მოძრაობიდან? არსებობს თუ არა სოციალური აფეთქების საშიშროება? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.

– მეათე მოწვევის პარლამენტის მანდატებზე ისევ უარს ამბობს ოპოზიციის უდიდესი უმრავლესობა. „პატრიოტთა ალიანსის“ არაპოლიტიკოსი დეპუტატობის კანდიდატები პარლამენტში შესვლას თანხმდებიან. დავუშვათ, ოპოზიციური სიებით გასული პირების ერთი ჯგუფი დათმობაზე წავიდა. ამით რაიმე შეიცვლება?

– ყველა ადამიანი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას. მათ შორის, ის პირები, რომლებიც თვითონ პოლიტიკოსები არ არიან, მაგრამ პარტიულ სიებში ჩაწერეს. ყველა პარტიას სია არ გაუუქმებია. ამიტომ გარკვეული ნაწილი (მათ შორის, ადგილმონაცვლეები) შეუერთდება საპარლამენტო მუშაობას. არჩევნებზე იყო დარღვევები, მაგრამ მისი შედეგი აღიარეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, სახელმწიფოებმა, სადამკვირვებლო მისიებმა. ოპოზიციის მიერ ატეხილი ჟივილ-ხივილი არჩევნების ტოტალურად ვითომ გაყალბებაზე არადამაჯერებელია. ამ ხმაურს, ასევე პარლამენტში არშესვლას,თავისი დანიშნულება აქვს.

– რა დანიშნულება?

–ეს ყველაფერი სახელმწიფო გადატრიალების გეგმის ნაწილია. ეს არანაირი შეთქმულების თეორია არაა. არის რუსეთიდან მოხვეული გეგმა, რომელსაც საკმაო რაოდენობის შემსრულებლები ჰყავს. ისინი გამოცდილი გადამტრიალებლები არიან. ხომ ხედავთ, რას ამბობს მწერალი ირაკლი კაკაბაძე! მას აქვს მასალები იმის შესახებ, რომ სააკაშვილი მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში. ის მაშინ ცნობილი არ იყო, მაგრამ ჩუმჩუმად ძირს უთხრიდა ზვიად გამსახურდიას და უერთდებოდა კიტოვანი-სიგუას ბანდას. ოპოზიციაში ასეთები სხვებიც არიან. სააკაშვილის კავშირი რუსეთის სპეცსამსახურებთან ცნობილია.

„ხელისუფლებამ უნდა გახსნას კაბინეტების კარები და უპასუხოს ზარებს“

– საზოგადოება ამას იჯერებს?

– ვისაც წარმოდგენა მაინც აქვს ბოლო 30 წლის მოვლენებზე, ყველამ ყველაფერი იცის. ისე, ხალხს მეტი ინფორმირებულობა სჭირდება. თუ დემოკრატიაა, ეთერი და ტრიბუნა ყველასთვის ღია უნდა იყოს. კლანური დემოკრატია არ გამიგია. დახშულია ტელევიზიები, იმიტომ არ იცის ყველამ ყველაფერი, ზოგს კი ავიწყდება.

– სახელმწიფო გადატრიალების გეგმა ისევ ძალაშია?

– რუსული სცენარი დღის წესრიგიდან ჯერ არ გამქრალა. თუმცა, მოვლენები იმ სცენარით ვერ განვითარდა, როგორიც დამუშავებული იყო. არჩევნების შემდეგ გაყალბების საბაბით უნდა მომხდარიყო გამოსვლები და გადატრიალება. იმედი ჰქონდათ, რომ ხალხს აიყოლიებდნენ. ამათ ქართველი ხალხი ბრბო ჰგონია. ძალით მოსული ოპოზიცია მოაწყობდა რეპრესიებს.

– სააკაშვილი აცხადებს, რომ 2020 წელი გამარჯვების წელი იყო. მისი თქმით, ოპოზიციის უპრეცედენტო ერთიანობა დიდი წარმატებაა.

– ერთად ბევრი დგას, მაგრამ რას წარმოადგენენ ეს ძალები? ნულს რომ ნული მივუმატოთ, განა რამეს მივიღებთ?! ბოკერიას და უგულავას დათმობილი აქვს მთელი მედია, მაგრამ ვინ არიან ისინი სინამდვილეში? არჩევნებზე რა შედეგი მიიღეს? სააკაშვილი იმაში კი მართალია, რომ ასეთებს აკრიტიკებს და არ ენდობა. გაიხსენეთ, როდის წავიდა ნაციონალური მოძრაობიდან გრიგოლ ვაშაძე.

– თქვენ ამის მიზეზებზე რაიმე ინფორმაცია გაქვთ?

– გრიგოლ ვაშაძე წავიდა მაშინ, როცა ნახა, რომ სახელმწიფო გადატრიალების პირველი ეტაპი ჩაიშალა. მას შეეშინდა. დაგეგმილი იყო რომელიმე სახელმწიფო შენობის აღება. ბოლოს ცესკოს აღება გადაწყვიტეს, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. გასაოცარი რადიკალურობა გამოიჩინა ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ, რომელიც ახლა შემოდის პოლიტიკაში. ხაზარაძე თავისი ბიზნესით, ფულითა და წარსულით ყოველთვის რუსული კარტი იყო. პროდასავლელად სააკაშვილსაც მოაქვს თავი და ხაზარაძესაც, მაგრამ ეს მხოლოდ ნიღაბია. ესენი არიან რუსეთიდან მართული რევოლუციონერები. ხაზარაძე ასეთი უგუნური არ მეგონა. ლენინის სტილი იყო ფოსტა-ტელეგრაფისა და სხვა კვანძების ხელში ჩაგდება. ლენინის დევიზი იყო „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად“. ამათი სლოგანია „გადავაქციოთ არსებული ვითარება სამოქალაქო ომად“.

– საზოგადოებაში შეინიშნება პოლარიზაცია. სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეც არსებობს?

– დიახ. ადრე მეგონა, რომ სამოქალაქო დაპირისპირება არ გვემუქრებოდა. ახლა ვხედავ, რომ საქმე უარესად არის. გარე ძალებს საქართველოში ჰყავთ დასაყრდენი. არჩევნების წინ, არჩევნების დღეს ოპოზიციამ მოახდინა იარაღიანი ხალხის დემონსტრირება. იყო მიმართვები ჯარისა და პოლიციის მიმართ.

– ოპოზიციაში არსებობს მოლოდინი, რომ მას შემდეგ, რაც დეკემბრის ბოლოს აშშ-ის ელჩმა თავის სატელევიზიო ინტერვიუში ადრინდელზე მკაცრად შეაფასა 31 ოქტომბრის არჩევნები, ბიძინა ივანიშვილს დაეკისრება სანქციები.

– საერთაშორისო პოლიტიკა მოულოდნელობებითაა სავსე. ამ შემთხვევაში, არა, მგონია, ეს რეალობა იყოს. ოპოზიცია თავისას აგრძელებს. იგივე ოპოზიცია და მისი ტელევიზიები არ ერიდებიან თავდასხმას აშშ-ის ელჩზე.

– ხელისუფლება რთულ მდგომარეობაშია. საპარლამენტო (პოლიტიკური) კრიზისი არ ამოწურულა.

– ამ მდგომარეობამდე ქვეყანა მიიყვანა ოპოზიციამ. არ ვეთანხმები გამოთქმას „ერთპარტიული“ პარლამენტი. ერთპარტიული იქნებოდა, რომ არჩევნებში ერთადერთ პარტიას გადაელახა ბარიერი. ერთი პარტია პარლამენტში აღმოჩნდა იმის გამო, რომ სხვები მანდატებზე უარს ამბობენ. მმართველი პარტია თავის შეფასებებში უფრო მკაფიო უნდა იყოს. ასეთი მკაფიო განცხადებები ისმის გახარიას, ღარიბაშვილის და ვოლსკის მხრიდან. სხვები გაურკვევლობაში არიან.

– სოციალური აფეთქების წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ხელისუფლება? მდგომარეობა უმძიმესია, კომპენსაციები – არასაკმარისი.

– მდგომარეობა მძიმეა. თუ პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთთან სინქრონში არ მოვა, იქნება სოციალური უკმაყოფილება. პოლიტიკა და ეკონომიკა დროს უნდა პასუხობდეს, ევოლუციას განიცდიდეს. იმისათვის, რომ სოციალური გამოსვლები არ იყოს, იმისათვის, რომ ხალხი მშიერი არ დარჩეს, ხელისუფლებამ უნდა მოუსმინოს საზოგადოებას. ხელისუფლების ოპონენტი უნდა იყოს საზოგადოება. ხელისუფლება უნდა დაელაპარაკოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, იმუშაოს მათთან ერთად ანტიკრიზისულ საკითხებზე, მათ შორის, პარლამენტის კომიტეტებში. ჩაკეტვა არ შეიძლება. ხელისუფლებამ უნდა გახსნას კაბინეტების კარები და უპასუხოს ზარებს. საჭიროა დიალოგი, მეტი განმარტება, ასევე რჩევების გაზიარება სპეციალისტებისაგან.

პეტრე მამრაძე: „საქართველოში ოპოზიცია კი არა, 21-ე საუკუნის შულავერის კომიტეტია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, 2020 ძალიან რთული წელი იყო, ძალიან რთული პროცესები ვითარდებოდა საქართველოში – პანდემიასთან ერთად არჩევნები ჩატარდა და მწვავე პოლიტიკური ვითარება იყო, მაგრამ 2020 წელი უკვე ისტორიაა. თქვენ ამ პერიოდს როგორ აფასებთ?

– პირველ რიგში, იმას ვიტყვი, რომ საქართველოში არავითარი ნიშნები საშუალო კლასის გაჩენისა და, შესაბამისად, რეალური პოლიტიკური პარტიების წარმოქმნისა, არ არსებობს.

– ამას რა გაფიქრებინებთ?

– ამის მრავალი ნიშანია. პირველ რიგში, მაფიქრებინებს ის, რა გამოწვევებიც არის ერის წინაშე. როდესაც საქართველოსნაირ ქვეყანაში არჩევნებში 55 პოლიტიკური პარტია მონაწილეობს, ეს არის კურიოზი. როგორც ცნობილია, 360 პარტიაა რეგისტრირებული. 9 საარჩევნო სუბიექტმა გადალახა 1%-იანი ბაიერი. 9 სუბიექტში იყო 14 პარტია და მათ მოიპოვეს საბიუჯეტო დაფინანსება, რაც კიდევ ერთი პოლიტიკური ანეკდოტია.

– მიუხედავად ამისა, მაინც ერთპარტიული პარლამენტი მივიღეთ. ეს რაზე მეტყველებს?

– ეს იმაზე მეტყველებს, რომ ე.წ. პარტიები პარტიები კი არა, დაჯგუფებებია, რომლებიც, ძირითადად გარედან მიღებულ დავალებას ასრულებენ. კერძოდ, ყველამ მოისმინა სააკაშვილის ბიძის, კგბ-ს გენერლის თემურ ალასანიას დავალებები, ბრძანებები. თემურ ალასანია ამ შემთხვევაში გუბაზ სანიკიძეს ესაუბრა, მაგრამ წარმოიდგინეთ, კიდევ რამდენს ელაპარაკა, ასევე კიდევ რამდენს ელაპარაკა სააკაშვილი.

ჩვენ გვახსოვს ეს დავალება – არავითარ შემთხვევაში არავინ არ უნდა შევიდეს პარლამენტში (გუბაზ სანიკიძე იფიცებოდა, ბოლო ვიქნები, ვინც პარლამენტში შევაო), შემდეგ უნდა მოხდეს ძალაუფლების ხელში აღება და დროებითი მთავრობის შექმნაო. ეს არის ნამდვილი გადატრიალების სცენარი.

– ერთია, გარედან დავალებები, მაგრამ მეორეა, რომ აქ მყოფნი ეთანხმებიან. ეს მათი შეგნებული შეცდომებია?

– ზოგი ნებით ცდება, ზოგი – უნებლიეთ. ეს არის 21-ე საუკუნის შულავერის კომიტეტი. მგონი, 16 თებერვალს შესრულდება 100 წელი მას შემდეგ, რაც წითელი არმია შემოიჭრა რა საქართველოში, დაიკავა შულავერი, იქვე შექმნა რევკომი (რევოლუციური კომიტეტი), როგორც მახსოვს, ფილიპე მახარაძისა და კიდევ რამდენიმე ადამიანის ხელმძღვანელობით. შემდეგ მას შულავერის კომიტეტი ეწოდა.

შულავერის კომიტეტმა მაშინვე ბოლშევიკური რუსეთისაგან დახმარება მოითხოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ეს კომიტეტი არანაირად არ წარმოადგენდა ქართველი ხალხის ნებას. შულავერის კომიტეტი არის სიმბოლო იმისა, როცა რამდენიმე ბანდა ჩემულობს იმას, რომ ხალხის ინტერესებს წარმოადგენს.

– დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში არაერთმა დაჯგუფებამ ქვეყანას თავს მოახვია თავისი რევოლუციური მიზნები. ახლაც იგივე სურთ. ვერასოდეს გამოვალთ შულავერის სინდრომიდან და მუდმივად რევოლუციებისა და გადატრიალებების პროცესში ვიქნებით?

– ჩვენ ბედნიერები უნდა ვიყოთ და ჯეროვნად ვაფასებდეთ, რომ 21-ე საუკუნის შულავერის კომიტეტმა მე-20 საუკუნის შულავერის კომიტეტისაგან განსხვავებით, ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და ჩვენს ერს ვერაფერი დააკლო, გარდა იმისა, რომ თვითლუსტრაცია მოახდინა, რაც ხალხმა კარგად დაინახა.

– ხალხმა როგორ დაინახა?

– ბევრ ადამიანთან კონტაქტი მქონდა, რომელიც არ მალავდა, რომ ხმა მისცა 8 სუბიექტიდან ერთ-ერთს და არა – „ოცნებას“ (ზოგმა მათ იმიტომ მისცა ხმა, რომ „ოცნებისთვის“ ჭკუა ესწავლებინა), მაგრამ ყველა ილანძღებოდა და ამბობდა, თავიდან რომ იყოს არჩევნები, არავითარ შემთხვევაში ამ ოპოზიციას ხმას არ მივცემო.

– როდემდე უნდა ვიყოთ ამ ვითარებაში?

– თავის დროზე ნიკო ნიკოლაძე ამბობდა: სანამ საქართველოს აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვა ესაზღვრება, დასავლეთიდან კი შავი ზღვა, მანამ საქართველო დამოუკიდებელი ვერ იქნებაო. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რუსეთის ფაქტორი გავლენას ახდენს. როგორც უნდა ვითარდებოდეს სიტუაცია, იმის გამო, რომ რუსეთი უშუალო მეზობელია საქართველოსი, საქართველოსთან შედარებით გიგანტი ქვეყანაცაა (დავამატებ: საქართველოსთან შედარებით კი არა, რუსეთი ტერიტორიით მსოფლიოში დღესაც უდიდესი ქვეყანაა), გვინდა თუ არა, ის გავლენას მოახდენს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

დღეს, სააკაშვილის ღალატის შედეგად, რუსის ტანკები და მესაზღვრეები საქართველოს დედაქალაქიდან 30 კილომეტრში დგანან. უცხოელები გაოგნებულები არიან – რა ხალხი ყოფილხართ, რომ დედაქალაქიდან 30 კილომეტრში დგას საოკუპაციო ჯარი და მაინც რაღაცას ინარჩუნებთ, ისე ცხოვრობთ, ვითომც არაფერიო. ამას მოხერხება და ტრადიცია უნდა.

– თქვენ ახსენეთ შულავერის კომიტეტი. თქვით, რომ დღევანდელი ოპოზიცია მტრის საქმეს აკეთებს და ლუსტრაცია მოახდინესო, ანუ აგენტურაა?

– რა თქმა უნდა.

– 70-წლიანი საბჭოთა ბატონობის შემდეგ, 30 წელია, ცუდად თუ კარგად, დამოუკიდებელი ვართ. კიდევ ამდენი არიან? დღეს კიდევ ამდენია დამოკიდებული იმპერიულ ცენტრზე?

– ძალიან ბევრნი არიან. თქვენ ახლა ელაპარაკებით იმ ადამიანს, რომელსაც თანამდებობაზე ყოფნისას დოკუმენტების გაცნობა მოუწია. მე ეს მევალებოდა. ემოციურად საკმაოდ რთული იყო აგენტურის დოკუმენტების გაცნობა. იმ დოკუმენტებიდან ვიცი, რამდენი ადამიანი იყო ინფორმატორი, კავშირზე მყოფი თუ აგენტი.

მახსენდება ეროვნული მოძრაობის ერთი ცნობილი ლიდერის ჩემთვის ნათქვამი სიტყვები 90-იანი წლების ბოლოს (შემდეგ ის პოლიტიკას ჩამოშორდა); საკმაოდ გვიან გავიგე და დავინახე, რომ ლიდერების სულ ცოტა 70%-ს კგბ აკონტროლებდაო. 70% ცოტა არ არის.

ხელვაჩაურში მეჩეთთან 45 წლის გია ბოლქვაძეს ყელი გამოჭრეს

„ჩემს რძალს ვიღაც მამაკაცი სასიყვარულო მესიჯებს წერდა“

ხელვაჩაურში, ე.წ ოცნების ქალაქში, სადაც თვითნებურად დასახლებული ოჯახები ცხოვრობენ, 3 იანვარს მკვლელობა მოხდა.

44 წლის მამაკაცს სასიკვდილო ჭრილობა ცივი იარაღით ყელის არეში მიაყენეს. მეორე მამაკაცი მუცლის არეში მძიმედ დაჭრეს, ის კლინიკა მედინაში გადაიყვანეს.

მეზობლების თქმით, ინციდენტი სახლში დაიწყო და მოგვიანებით იქვე მდებარე მეჩეთთან გაგრძელდა.

– ინციდენტი სახლში დაიწყო და იქვე მდებარე მეჩეთთან გაგრძელდა, სადაც მკვლელობა მოხდა. სახლში დალეწეს ყველაფერი და სისხლიც ჩანს სააბაზანოსთან. გარდაცვლილს კისრის არეში მიაყენეს სასიკვდილო ჭრილობა, ხოლო მეორე მამაკაცი მუცლის არეში მძიმედ დაჭრეს. ინციდენტის გამო, შემთხვევის ადგილზე საყოფაცხოვრებო ნივთები დამტვრეულია. გარდაცვლილი 44 წლის მამაკაცია, – განაცხადეს ადგილობრივებმა.

ინციდენტის მიზეზი ერთი კვირის წინ დაწყებული დაპირისპირება გახდა.

„მთავარის“ ინფორმაციით, მოკლულმა, 44 წლის გია ბოლქვაძემ, გასულ კვირას კონფლიქტის მხარეები ერთმანეთს შეარიგა, 3 იანვარს კი სახლში თავს დაეხსნენ, ჩაამტვრიეს შუშები; მოგვიანებით დაპირისპირება „ოცნების ქალაქში“ მდებარე მეჩეთთან გაგრძელდა.

– აქ მოვარდნენ, ჩალეწეს ფანჯრები. რომ წავიდა, გავყევი, მაგრამ არ გამიყოლა, შენ სახლში იყავი და მოვალო. უბნის ბიჭები იყვნენ და სასიკვდილოდ დაჭრეს. ერთი ბიჭი ნასვამი იყო. ერთმანეთს იცნობდნენ, ყოველთვის მოდიოდნენ აქ, – უთხრა „მთავარს“ გარდაცვლილის ცოლმა.

27 წლის მამაკაცის მდგომარეობა, რომელიც მუცლის არეშია დაჭრილი, სტაბილურად მძიმეა.

– მუცლის ღრუს შემავალი ჭრილობით შემოიყვანეს პაციენტი, ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია, ამჟამად რეანიმაციულ განყოფილებაშია, – ამბობს ექიმი მერაბ გოგოლაძე.

მკვლელობისთვის დაკავებული მამულაძის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ დაპირისპირების მიზეზი სასიყვარული მესიჯები გახდა.

მათი თქმით, მოკლული გია ბოლქვაძის ბიძაშვილი, ბრალდებული მამულაძის ძმის ცოლს სასიყვარულო მესიჯებს წერდა.

– ამ ჩემს რძალს საერთოდ არც იცნობს, წავიდა სასიყვარულო მესიჯების წერა, ვიცი, სახლში მარტო ხარო, შენი დედამთილ-მამამთილი სად დადისო. მერე შემოვიდა და ჩემს ქმარს უთხრა რძალმა, მამა, ვიღაცა მწერს ასეთ რამეებსო, ვერ გამოვდივარ ოთახიდან და მეშინია მეო,“ – უთხრა „მთავარს“ ბრალდებულის დედამ, მზიური მუავანაძემ.

მამულაძეების ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მამულაძეები გიორგი ბოლქვაძის ოჯახში მივიდნენ, ბოლქვაძე და მისი მეგობრები კი მამულაძეებს თავს დაესხნენ, რის შემდეგაც მამულაძემ ცივი იარაღით ბოლქვაძე დაჭრა, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა.

შსს-მ ხელვაჩაურში მომხდარის შესახებ ასეთი განცხადება გაავრცელა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული ჯ.მ. განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირზე, ე.წ. ოცნების ქალაქის ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების შედეგად, ორი მამაკაცი – 1977 წელს დაბადებული გ.ბ. და 1993 წელს დაბადებული გ.ა. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, გ.ბ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო გ.ა.-ს ექიმებმა შესაბამისი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტებზე გამოძება სსკ-ის 108-ე და 117-ე მუხლებით მიმდინარეობს.“

გიორგი ჯანაშია ციხიდან გამოუშვეს



დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებულმა გიორგი ჯანაშიამ პენიტენციური დაწესებულება დატოვა.

ჯანაშია ე.წ. უდოს კომისიამ გაათავისუფლა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული.

გიორგი ჯანაშიამ პენიტენციური დაწესებულება 29 დეკემბერს დატოვა.

აღნიშნულზე კომენტარი დავით სარალიძის მკვლელობაში მსჯავრდებული მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ გააკეთა.

– გიორგი ჯანაშია წარმოადგენს სახელმწიფოს იარაღს მიხეილ კალანდიას მიმართ პოლიტიკური დაკვეთის განსახორციელებლად. როდესაც ეს მდგომარეობა საღად შეაფასა ამ „იარაღმა“, სახელმწიფოსაგან მოითხოვა შეთანხმებულზე ადრე თავისუფლების მინიჭება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა ნამდვილი, ცხადი ამბების ნიუსებით, – განაცხადა მან.

ადვოკატის თქმით, უბადრუკ მდგომარეობაში აღმოჩენილმა სახელმწიფომ მიხეილ კალანდია მოგონილი დანაშაულით საკმაოდ ხანგრძლივი დროით გამოამწყდია ციხეში, იგივე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ კი 3-წლიანი პატიმრობა იკმარა.

2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ორი მოზარდის, დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, ორი არასრულწლოვანი – გიორგი ჯანაშია და გუგა ბარბაქაძე არიან მსჯავრდებულები. დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობის ბრალდებით მსჯავრდებულია ასევე მიხეილ კალანდია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, გიორგი ჯანაშიას 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ გიორგი ჯანაშიასთან მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.

გიორგი ჯანაშიას 11 წლითა და 3 თვით მისჯილი წლებიდან საბოლოოდ, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, საიდანაც 4 წელი პენიტენციურ დაწესებულებაში უნდა გაეტარებინა, დანარჩენი 4 წელი კი პირობითად ჩაეთვლება.

ამნისტია შეიძლება შეეხოს იმ პატიმრებსაც, რომლებიც პატიმრობისას სტუდენტები გახდნენ

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის მოქმედება, შესაძლოა, გავრცელდეს იმ პატიმრებზეც, რომლებმაც პატიმრობის პერიოდში სტუდენტის სტატუსი მოიპოვეს.

ასეთ შემთხვევაში, როგორც სარჯველაძემ აღნიშნა, მათი თავისუფლების აღკვეთის სასჯელის ფორმა შინაპატიმრობით შეიცვლება.

როგორც სარჯველაძემ რიგგარეშე პლენარულ სესიაზე, კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას აღნიშნა, კანონის ამ ნორმით სარგებლობა მხოლოდ იმ მსჯავრდებულებს შეეძლებათ, რომლებმაც სტუდენტის სტატუსის კანონის მიღებამდე მიიღეს და ეს მომავალში სტუდენტის სტატუსის მიღების შემთხვევაში, მათ სასჯელის ფორმას არ შეუცვლის.

– გაჩნდა შესაძლებლობა, რომ გარკვეული დაშვებით, პირობებით გავრცელდეს ამნისტია და შინაპატიმრობით მოხდეს სასჯელის შეცვლა ცალკეული კატეგორიის მსჯავრდებულებისთვის. ამ შემთხვევაში, იგულისხმება არასრულწლოვანთა მშობელი ქალების სასჯელის შეცვლა თავისუფლების აღკვეთის შინაპატიმრობით, მოუხდელი ნაწილის. ასევე, სტუდენტებზე, რომლებმაც სტატუსი მოიპოვეს პატიმრობის პერიოდში, შესაბამისად, ამით საკუთარი განწყობა რესოციალიზაციის მიმართულებით დაადასტურეს, შეიძლება ეს შეღავათი რომ გავრცელდეს.

ბუნებრივია, ამით მათ მეტი და უკეთესი შესაძლებლობა მიეცემათ რესოციალიზაციისთვის. აქ ასევე გასათვალისწინებელია, რომ ეს ეხება არა მომავალში ვინც სტუდენტის სტატუსს მოიპოვებს, არამედ კანონის მიღების მომენტში. ეს ვერ შეეხება, ბუნებრივია, ყველა იმ ადამიანს, ვინც სტუდენტი გახდება მომავალში, ეს არის კანონის მიღების მომენტისთვის, ვისაც აქვს ასეთი სტატუსი მოპოვებული.

მომავალში თუკი იქნება, ეს შეიძლება დადებითად ახასიათებდეს პიროვნებას, თუ ის სწავლას მოკიდებს ხელს, თუმცა ამნისტია ვერ იტყვის იმას, რომ ვინც სტუდენტი გახდება, მას ეს შეღავათი ექნება, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

სამეგრელოს პოლიციამ 10 წლის განმავლობაში ძებნილი გ.მ. დააკავა

სამართალდამცველებმა ბოლო 10 წლის განმავლობაში ძებნილი პირი დააკავეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზუგდიდში სამართალდამცველების მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში ძებნილი პირი – 1987 წელს დაბადებული გ.მ. დააკავეს.

გ.მ.-ს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის წარედგინა. ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის პოლიციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე გ.მ.-ს მიმართ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, ხოლო 2010 წლის აგვისტოდან, მასზე ძებნა სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმდინარეობდა“ – აცხადებენ უწყებაში.

მარტყოფში ძმისშვილმა ბიძა მუცელში დაჭრა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ძმისშვილმა ბიძა დაჭრა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 65 წლამდე მამაკაცს მრავლობითი ჭრილობები სანადირო თოფიდან აქვს მიყენებული.

ბიძასა და ძმისშვილს შორის მომხდარი სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა, როდესაც 23 წლის მამაკაცმა ბიძას მუცლის არეში ესროლა.

ახალგაზრდა კაცი, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა დაჭრილი „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანა.

როგორც „ინფო რუსთავს“ კლინიკის გადაუდებელი დახმარების განყოფილების მორიგე ექიმმა ლალი ღირსიაშვილმა განუცხადა, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.

ბრალდებული პოლიციამ უკვე დააკავა.

„ის ქალი ჩემს საფლავზე მაინც მოვიდეს და იქ მნახოსო“

თბილისში 30 წლის მამაკაცმა თავი მოიკლა

3 იანვარს თბილისში 30 წლამდე მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა აცნობა.

მისი თქმით, შეყვარებულთან კონფლიქტის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცი დაკავებული იყო, ხოლო ციხიდან გათავისუფლებიდან მალევე თავი მოიკლა.

– მანამდეც ჰქონდა მცდელობა, წამლები დალია. დღეს უკვე მისმა ახლობლებმა დამირეკეს, ვეღარ გადავარჩინეთო. წერილი დატოვა იმ გოგოს მისამართით. წერს, რომ ჩემს საფლავზე მაინც მოვიდეს და იქ მნახოსო, – უთხრა „პრაიმტაიმს“ ადვოკატმა.

აბაშაში 1 პირის დაჭრისთვის თ.კ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული თ.კ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სამიქაოში, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, 1973 წელს დაბადებულ ზ.დ.-ს ბასრი საგნით სხეულზე დაზიანებები მიაყენა. ზ.დ. გადაყვანილია კლინიკაში, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – მაკრატელი.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ლაგოდეხთან ოპელი მერსედესს დაეჯახა

1 ადამიანი დაიღუპა, 2 დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 4 იანვარს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორში.

შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია 1 და დაშავებულია 2 ადამიანი.

თვითმხილველების ინფორმაციით, ერთმანეთს ოპელისა და მერსედესის მარკის ავტომობილები შეეჯახნენ, რის შედეგადაც, ერთ-ერთი მანქანის მძღოლი ადგილზე დაიღუპა.

დაშავებულები ლაგოდეხის საავადმყოფოში სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა გადაიყვანეს.

ავტოავარიის სავარაუდო მიზეზად გადაჭარბებული სიჩქარე სახელდება.

ადგილზე პოლიცია და ექსპერტ-კრიმინალისტები იყვნენ მობილიზებული.

კიევში სპეცრაზმმა გია დანელია და რომეო ფიფია აიყვანა

კიევის ცენტრში ქართველი კრიმინალები დააკავეს.

სპეცრაზმმა 46 წლის რომეო ფიფია და 45 წლის გია დანელია აიყვანა.

საქართველოს მოქალაქეებს არაერთ ძარცვაში ადანაშაულებენ. ფიფიამ და დანელიამ უკრაინელი დეპუტატის, ვლადიმერ კაცუბას კუთვნილი თანხა, 160.000 ევრო და 340.000 გრივნა გაიტაცეს. თავდასხმა მაშინ მოხდა, როდესაც დეპუტატის მძღოლი ღესია უკრაინკას მოედანთან მდებარე ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან ფულით გამოვიდა.

ამ დროს მას ორი ქართველი მიუახლოვდა და ხელყუმბარის აფეთქებით დაემუქრა.

დუშეთში, არხში 57 წლის ქალის ცხედარი იპოვეს

მას ოჯახი 2 დღე ეძებდა

გუშინ, 5 იანვარს, დუშეთში, არხში, ქალის ცხედარი იპოვეს.

57 წლის ქალს ოჯახი ორი დღე ეძებდა. ის სახლიდან კვირას გავიდა. ქალი ერთ-ერთ ფერმაში მუშაობდა.

ცხედარი ექსპერტიზაზეა გადაყვანილი.

წინასწარი ინფორმაციით, ცხედარს დაზიანებები არ აქვს და ვარაუდობენ, რომ მომხდარი უბედური შემთხვევაა.

არსებობს ვერსია, რომ ქალს სამუშაო ადგილას კონფლიქტი ჰქონდა, თუმცა ამაზე დაზუსტებით საუბარი ოჯახის წევრებს უჭირთ.

მომხდარზე შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ქუთაისთან 28 წლის გოგონა ბენზინმზიდს შეასკდა და ადგილზე დაიღუპა

გუშინ, 5 იანვარს, ქუთაისი-ხონის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 28 წლის პირის სიცოცხლე ემსხვერპლა – ერთმანეთს მსუბუქი მანქანა და ბენზინმზიდი ავტომობილი დაეჯახნენ.

თვითმხილველების თქმით, მსუბუქ ავტომობილს 28 წლის გოგონა მართავდა, ის სწრაფად მოძრაობდა და ბენზინგასამართი სადგურიდან გამომავალ სატვირთოს დაეჯახა, რის გამოც ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევის შედეგად სატვირთოს მძღოლი არ დაშავებულა.

ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

5 იანვრიდან თებერვლის შუამდე ინგლისი მთლიანად ჩაიკეტა

ინგლისში 5 იანვრიდან ახალი საყოველთაო ლოკდაუნი ამოქმედდა, რომელიც სულ მცირე თებერვლის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

შესაბამისი განცხადება გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა გააკეთა.

ახალი შეზღუდვების თანახმად, მოქალაქეები ვალდებულები არიან, სახლში დარჩნენ და, აუცილებელი შემთხვევების გარდა, საცხოვრებელი არ დატოვონ.

ამასთან, სკოლები და კოლეჯები იხურება და სწავლა დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდება. რესტორნებს შეუძლიათ მომხმარებლებს საკვების მიწოდების სერვისით მოემსახურონ. იხურება გოლფის მოედნები, ტენისის კორტები და ღია ტიპის სპორტდარბაზები.

ახალ შეზღუდვებზე საუბრისას ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ მომავალი კვირები ურთულესი იქნება. მისი განმარტებით, კორონავირუსის ახალი, უფრო გადამდები ვარიანტი სწრაფად ვრცელდება და მის შესაჩერებლად დაუყოვნებელი მოქმედებაა საჭირო.

პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ ქვეყანა კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის ბოლო ფაზაში შედის.

ესპანეთში უცხოეთიდან ჩასული ტურისტების რიცხვი 90%-ით შემცირდა

ესპანეთში საზღვარგარეთიდან ჩასული მოგზაურების რიცხვი 2020 წლის ნოემბერში წინა წლის ნოემბერთან შედარებით, 90%-ით შემცირდა. ამასთან ტურისტებმა 2020 წლის ნოემბერში 91%-ით ნაკლები დახარჯეს, ვიდრე 2019 წლის ნოემბერში.

2020 წლის 11 თვის განმავლობაში ესპანეთს 19 მილიონი უცხოელი მოგზაური ესტუმრა, რაც დაახლოებით 78%-ით ნაკლებია 2019 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

საუდის არაბეთი კატართან საზღვარს გახსნის

საუდის არაბეთი კატართან სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო საზღვარს გახსნის.

ამ ინფორმაციას „ალ-ჯაზირა“ ქუვეითის საგარეო საქმეთა მინისტრ აჰმედ ნასერ ას-საბაჰზე დაყრდნობით ავრცელებს.

მინისტრის თქმით, საზღვრების გახსნა ქვეყნებს შორის ურთიერთობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. მხარეებმა შეთანხმებას ხელი 5 იანვარს სპარსეთის ყურის სამიტზე მოაწერეს.

საუდის არაბეთმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, ეგვიპტემ და ბაჰრეინმა კატართან დიპლომატიური ურთიერთობები 2017 წელს გაწყვიტეს.

აღნიშნული ქვეყნები აცხადებდნენ, რომ კატარი ტერორისტებს უჭერს მხარს და მას ეკონომიკური სანქციები დაუწესეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცი კაზინოში 40 დოლარად გამილიონერდა

ამერიკელმა შობის წინა დღე ნევადის შტატში, ქალაქ ლასვეგასის ერთ-ერთ კაზინოში გაატარა და 15,5 მილიონი დოლარით გამდიდრდა.

მამაკაცი, რომელმაც თავი კევინად წარადგინა, კაზინოში შობის წინა დღეს, 24 დეკემბერს მივიდა. იქ მან ჯეკპოტი სათამაშო ავტომატზე ადგილობრივი დროით დაახლოებით 12:30 საათზე, მას შემდეგ მოხსნა, რაც მხოლოდ 40 დოლარი დახარჯა.

კაზინოს მფლობელმა აღნიშნა, რომ კევინის მოგება ავტომატზე ყველაზე მსხვილი მოგებაა ნევადაში ბოლო რვა წლის განმავლობაში.

გამარჯვებულის თქმით, ის მოგებული თანხის ნაწილს საკუთარი ბიზნესის განვითარებასა და კეთილ საქმეებში დახარჯავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ოლეგ ბასილაშვილი კორონავირუსით საავადმყოფოში მოათავსეს

86 წლის მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი კორონავირუსით საავადმყოფოშია მოთავსებული. რუსულ მედიას ინფორმაცია მსახიობის შვილმა ქსენიამ მიაწოდა. მისი თქმით, ხელოვანი თავს კარგად გრძნობს, თუმცა ექიმებმა მისი ასაკის გათვალისწინებით, ბასილაშვილის კლინიკაში გადაყვანა ამჯობინეს:

– მამა კორონავირუსით დაინფიცირდა, თუმცა თავს ძალიან კარგად გრძნობს. ამის მიუხედავად, ექიმებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უმჯობესია, თუკი ის კლინიკაში დაწვება და მათი მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. მანაც წინააღმდეგობა აღარ გაუწია და მედიკოსებს დაემორჩილა, – განაცხადა ქსენია ბასილაშვილმა.



ნინი ბადურაშვილმა და გიორგი გილიგაშვილმა დუეტი ჩაწერეს

მომღერლებმა ნინი ბადურაშვილმა და გიორგი გილიგაშვილმა დუეტი ჩაწერეს. „ფიფქისფერი ფიფქები“ ჰქვია სიმღერას და ეს მათი პირველი ერთობლივი ნამუშევარია.

დუეტზე წყვილმა ვიდეორგოლიც გადაიღო და სატელევიზიო პრემიერაც მოაწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, სიმღერამ და კლიპმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მემე ჟორდანია გაანაწყენეს

მომღერალი მემე ჟორდანია გაანაწყენეს. ამის მიზეზი 2 ზომით დიდი ტანსაცმლის 3-ჯერ და 4-ჯერ მეტი ფასია:

– მესმის, რომ პლუს სიზე ტანსაცმელი უფრო მეტ ნაჭერს საჭიროებს, ვიდრე ჩვეულებრივი, სტანდარტული ზომები, მაგრამ ვინმემ გამაგებინეთ, რატომ უნდა ვიხდიდე 3-ჯერ და 4-ჯერ მეტ ფასს ტანსაცმელში მხოლოდ იმიტომ, რომ 2 ზომით დიდი მჭირდება?

დაზუსტებით ვიცი, რამდენით მეტი ნაჭერია საჭირო და როგორ ხდება დიდი ტანსაცმლის შეკერვა, ერთადერთი, რის გამოც ტანსაცმელს ფასი უნდა დაემატოს, არის ნაჭერი, არც მეტის კერვა უწევთ და არც მეტი წვალება.

უბრალოდ, გულისამრევია უკვე ის, თუ რამდენად განსხვავებულად ეპყრობიან ფლას საიზ ადამიანებს და როგორ გარემოში გვიწევს ცხოვრება, ჯერ ხო ერთეული ბრენდები არიან მორგებული ყველა ზომის ადამიანზე და მერე, როცა ვიპოვით რამეს, ისეთ ფასს ადებენ, რო ყიდვა აღარ მოგინდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

პელეს რეკორდებს ამხობენ

იუვენტუსმა უდინეზეს 4:1 მოუგო, კრიშტიანუ რონალდუმ 4-დან 2 გაიტანა და გადაასწრო პელეს, რომელსაც 1956-77 წლებში, სანტოსში, ნიუ იორკის კოსმოსსა და ბრაზილიის ნაკრებში 757 გოლი აქვს გატანილი. ახლა, იუვენტუსის 35 წლის თავდამსხმელი ფეხბურთის ისტორიაში მეორე ბომბარდირია.

რონალდუმ უდინელთა კარში თავისი 757-ე და 758-ე გოლები შეაგდო და ახლა ერთით ჩამორჩება ჩეხ-ავსტრიელ იოჟეფ ბიცანს რომელიც 1931-55 წლებში თამაშობდა რაპიდში, ადმირაში, სლავიაში, ვიტკოვიცეში, ჰრადეც კრალოვეში, პრაღის დინამოში, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიისა და ბოჰემია-მორავიის ნაკრებებში.

რონალდუს ახალი რეკორდის დამყარება უახლოეს ტურებში მილანსა და სასუოლოსთან შეხვედრებში შეუძლია.

მსოფლიოს 5-გზის საუკეთესო ფეხბურთელმა გოლების ნახევარზე მეტი მადრიდის რეალის მაისურით გაიტანა, დანარჩენები კი, სპორტინგის, მანჩესტერ იუნაიტედის, იუვენტუსისა და პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობებში თამაშის დროს.

მოკლედ, თანამედროვეობის 2 უდიდესი ფეხბურთელი ლეო მესი და კრიშტიანუ რონალდუ „ფეხბურთის მეფედ“ წოდებულ პელეს ავიწროვებენ.

როგორც იცით, მესიმ ერთი გუნდის მაისურით გატანილი გოლების რაოდენობით გასული წლის დეკემბერში გადაასწრო პელეს. თუ მესის რეკორდი თავად პელემ მიულოცა (სამაგიეროდ, სანტოსმა უარყო – აქაოდა, პელეს მეტი აქვს გატანილიო), ამჯერად ბრაზილიელი სოციალური ქსელით „ამტაცებს“, რომ მის ანგარიშზე არა 757 (812 შეხვედრაში), არამედ 1.283 გოლია.

კიდევ ერთი წყაროს ცნობით, ბიცანის 800 გოლი აქვს გატანილი, შემდეგ მოდის ბრაზილიელი რომარიო – 772 და ამის შემდეგ არის რონალდუ.

პსჟ-ს მესი და რამოსი უნდა

პარი სენ-ჟერმენში მაურისიო პოჩეტინოს მისვლის შემდეგ პარიზული კლუბის ხელმძღვანელობას სურვილი აქვს ახალი პროექტი სერხიო რამოსსა და ლიონელ მესის გარშემო შექმნას. მეტიც, პარიზელები ცდილობენ, ესპანური ფეხბურთის 2 უმთავრესი ვარსკვლავი ხელში უფასოდ ჩაიგდონ.

ესპანური მედიის ცნობით, რეალის კაპიტანმა კლუბის პრეზიდენტს უთხრა, რომ ის სეზონის ბოლოს გუნდის დატოვების ვარიანტებს უკვე

განიხილავს და მას შეთავაზებები აქვს. ჯერჯერობით, კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს არც მესი, რომელსაც ხელშეკრულების ვადა სწორედ სეზონის ბოლოს გასდის.

თუმცა, პარიზში ცვლილებები ზამთარშიც იწყება. ფრანგული პრესის ცნობით, პოჩეტინოს მთავარი სამიზნე დელე ალია. ისინი ერთმანეთს ტოტენჰემიდან კარგად იცნობენ. ალი არგენტინელის ხელში ვარსკვლავად იქცა, ახლა კი ჟოზე მოურინიოს ვერ ერგება და ლონდონში სათამაშო დრო მხოლოდ მინიმალურად აქვს. მოკლედ, ალის წასვლა ძალიან რეალურია, მით უმეტეს, პარიზში, რომელიც პოჩეტინოს მოსვლასთან ერთად მთავარ პრეტენდენტად იქცა.

ამ შემთხვევაში პარიზელთა პრობლემა ფინანსებია და ალის საყიდლად საჭირო რესურსის მოპოვება სატრანსფერო ბაზარზე ფეხბურთელების გაყიდვით სურთ. პარიზელთა სპორტულმა დირექტორმა ლეონარდომ და პოჩეტინომ უკვე შეათანხმეს წამსვლელი ფეხბურთელების სია: ლეანდრო პარედესი, იულიან დრაქსლერი, ანდერ ერერა, ტილო კერერი და იდრისა გუაიე.

ქართულ სპორტულ სეზონს ძიუდოისტები გახსნიან

2021 წელს პირველი სერიოზული ტურნირი ქართველ სპორტსმენებს ძიუდოში ელით. 11-13 იანვარს, ყატარში მსოფლიოს მასტერსი გაიმართება, სადაც მონაწილეობას ყველა წონაში 36 საუკეთესო მოჭიდავე მიიღებს.

თუმცა, უკვე გვაქვს დანაკლისი – ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს 2-გზის მე-3 პრიზიორი ამირან პაპინაშვილი (60 კილოგრამი წონით კატეგორია) ფორმაში არ არის და ამ ეტაპზე ტატამზე გასვლისგან თავს იკავებს.

შედეგად, დოჰაში 15 სპორტსმენი გაემგზავრება – 13 ვაჟი და 2 ქალი. ვაჟთა ნაკრები თბილისში ვარჯიშობს და ემზადება მასტერსისთვის. ჩვენები ყატარში 8 იანვარს გაფრინდებიან, მანამდე კი საერთაშორისო პროტოკოლის მოთხოვნით, ერთ ტესტს კიდევ ჩაუტარებენ.

ქალთა ნაკრები თურქეთშია ერთობლივ შეკრებაზე, რომელიც დეკემბერში დაიწყო. თუმცა, სამშობლოში დაბრუნდებიან და დოჰაში ისინიც ვაჟებთან ერთად გაფრინდებიან. ცხადია, გამგზავრებამდე კორონავირუსზე გაიტესტებიან.

აქვე გეტყვით, რომ მსოფლიოს მასტერსი ერთ-ერთი ის ტურნირია, რომელიც ყველაზე მეტ სალიცენზიო ქულას გასცემს. აქედან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა გასაგებია.

13 ვაჟიდან მხოლოდ ოთხია განთესილი: ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ვაჟა მარგველაშვილი (66), ევროპის ჩემპიონი ტატო გრიგალაშვილი (81), ევროპის 3-გზის გამარჯვებული და მსოფლიოს 3-გზის ვიცეჩემპიონი ვალერი ლიპარტელიანი (100) და მსოფლიოს, ევროპისა და ევროპული თამაშების ჩემპიონი გურამ თუშიშვილი (+100).

ყველაზე მეტი, 3 მონაწილე, მძიმე წონაში გვეყოლება, 73-სა და 100-ში თითო მოჭიდავით ვიქნებით წარმოდგენილნი, დანარჩენებში კი, 2-2 ძიუდოისტი გვყავს.

ვაჟები

60 კგ: ლუხუმ ჩხვიმიანი (მე-9 ადგილი), თემურ ნოზაძე (34);

66 კგ: ვაჟა მარგველაშვილი (5), ბაგრატ ნინიაშვილი (29);

73 კგ: ლაშა შავდათუაშვილი (16);

81 კგ: ტატო გრიგალაშვილი (8), ლუკა მაისურაძე (12);

90 კგ: ბექა ღვინიაშვილი (10), ლაშა ბექაური (12);

100 კგ: ვალერი ლიპარტელიანი (4);

+100 კგ: გურამ თუშიშვილი (4), გელა ზაალიშვილი (14), ლევან მატიაშვილი (21);

ქალები

52 კგ: ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (33);

57 კგ: ეთერ ლიპარტელიანი (28).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

იტალიაში ციდან მკვდარი ჩიტები ჩამოცვივდა



იტალიის დედაქალაქ რომში მკვდარი ჩიტების „წვიმა“ მოვიდა. ასეულობით შოშიის დაღუპვის მიზეზი საახალწლო ფეიერვერკები გახდა.

მკვდარი ჩიტები ქალაქის რამდენიმე რაიონში იქნა ნაპოვნი. ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ფრინველების დაღუპვა, სავარაუდოდ, ფეიერვერკებს უკავშირდება. ჩიტები შეშინდნენ და ორიენტაცია დაკარგეს. შედეგად ისინი სხვადასხვა წინაღობებს აწყდებოდნენ, ასევე გულის შეტევითაც იღუპებოდნენ.

იტალიელები სოციალურ ქსელებში წერდნენ, რომ ნანახის შემდეგ მათ ზეიმის ხალისი დაკარგეს. აღსანიშნავია, რომ ცხოველთა დამცველები ყოველ წელს ითხოვენ პეტრდების და მაშხალების გაყიდვის აკრძალვას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოლსკიაერმა საზამთრო გეგმები დააწყო

მას შემდეგ, რაც ლივერპულმა პრემიერლიგის მატჩი 0:1 წააგო საუთჰემპტონთან, პოტენციური ლიდერი მანჩესტერ იუნაიტედი გახდა. თუმცა, მანჩესტერული კლუბის თავკაცი ოლე გუნარ სოლსკიაერი მაინც უკმაყოფილოა გუნდის კომპლექტაციით და გადაწყვეტილება მიიღო, 6 ფეხბურთელი გუნდიდან გაუშვას.

მარკუს როხო და სერხიო რომერო კლუბს საბოლოოდ დაემშვიდობებიან. ასევე წავა ფილ ჯონსი, რომელიც, სავარაუდოდ, ვესტ ბრომვიჩში ითამაშებს. დენ ჯეიმსი და ჯესი ლინგარდი კლუბს 1-წლიანი იჯარით დატოვებენ. ასევე იჯარით წავა ბრენდონ უილიამსი, რომლის მიმართ დიდ ინტერესს ლევერკუზენი და საუთჰემპტონი იჩენს.

ნორვეგიელი ფიქრობს, რომ ამ ფეხბურთელებს მის გუნდში მომავალი არ აქვთ. ეს ფეხბურთელები საკმაოდ სოლიდურ ხელფასებს იღებენ და ოლეს აზრით, მათი გაშვება სწორი გადაწყვეტილებაა.

სოლსკიაერი გუნდის შევსებაზეც ფიქრობს – განსაკუთრებით უკანა ხაზში. ჯონსისა და როხოს წასვლის შემდეგ სოლსკიაერს მხოლოდ 4 ნომინალური ცენტრალური მცველი რჩება. ერიკ ბაი, რომელსაც ხშირად ტრამვები აწუხებს, ტუანზებე, რომელიც ჯერ ახალგაზრდა და გამოუცდელია და მაგუაიერი-ლინდელოფის დუეტი, რომელთა მიმართ კითხვები ნამდვილად არსებობს.

იუნაიტედმა თვალი სევილიას მცველ ჟიულ კუნდეს დაადგა. მანჩესტერი მზად არის, 60 მილიონი ევრო გადაიხადოს და ახალგაზრდა ფრანგი გაიფორმოს. თუმცა, თუ ეს ტრანსფერი არ გამოვიდა, ალტერნატიული ვარიანტებიც აქვს: სიაში ასევე იმყოფებიან ლესტერელი კაგლარ სოიუნკუ, ვილიარეალის ფეხბურთელი პაუ ტორესი, ოზან კაბაკი შალკედან და ბენ უაიტი ბრაიტონიდან.

გეტყვით იმასაც, რომ გასულ ზაფხულს კუნდეს გადაბირება მე-2 მანჩესტერულ გუნდს, სიტის სურდა, მაგრამ ანდალუსიურმა კლუბმა 55 მილიონიანი წინადადება იუარა. ასევე, მისი შეძენით დაინტერესებული იყო იურგენ კლოპი, მაგრამ არც ეს ტრანსფერი შედგა.

ჩაკვეტაძე ამერიკელთა რადარზე მოექცა

ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი იმედი გიორგი ჩაკვეტაძე ამერიკული გუნდის რადარზე მოექცა – ჩვენებურის გადაბირება ლოს-ანჯელეს გელექსის სურს.

საქმე ის არის, რომ მლს-ის ბინადარი კრისტიან პავონმა დატოვა და გუნდს მისი შემცვლელი სჭირდება. ასეთი კი ამ ეტაპზე ორია – მესუთ იოზილი და ჩაკვეტაძე.

მეტიც, იქაური მედია წერს, რომ ჩაკვეტაძე უკეთესი ვარიანტი იქნება:

– თუ გელექსი ტრანსფერის დროს ახალგაზრდა მოთამაშეზე შეაჩერებს არჩევანს, შეუძლია გიორგი ჩაკვეტაძეზე იფიქროს. ეს ნიშნავს, რომ შეუძლიათ ჩამოიყვანონ ახალგაზრდა ტალანტი, უფრო განავითარონ და შემდეგ სარფიანად გაყიდონ. აქამდე ამერიკულ ლიგას ის რეპუტაცია აქვს, რომ ფეხბურთელები სათამაშოდ კარიერის დასასრულებლად გადმოდიან, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

ჩაკვეტაძემ გენტში თამაშით დაამტკიცა, რომ კარგი ფეხბურთელია. იგი ბელგიასა და მსოფლიოში ყველასთვის კარგად ნაცნობია და დიდი მომავალი აქვს. ქართველი ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ კარგ თამაშს ანახებდა და არაერთი კლუბის ყურადღებაც მიიპყრო. ჩაკვეტაძე მხოლოდ 21 წლისაა და გენტის მაისურით უკვე 66 მატჩში ითამაშა, სადაც 7 გოლი გაიტანა და 14 შედეგიანი გადაცემაც მიითვალა.

2017 წელს ბელგიაში თბილისის დინამოდან გადაბარგდა. შემტევი ნახევარმცველი საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრია, სადაც 9 შეხვედრაში 5 გოლი შეაგდო. ახლა გელექსიმ არჩევანი უნდა გააკეთოს, ან გადაიბიროს უფრო ცნობადი და სახელოვანი მესუთ იოზილი, ან გათვლა მომავალზე გააკეთოს, დაიმატოს ახალგაზრდა ვარსკვლავი, რომელსაც დიდი მომავალი აქვს.

მამუკელაშვილი კვირის საუკეთესოა, სანაძემ წელი ტრავმით დაიწყო

სეტონ ჰოლის კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი ბიგ ისტის კონფერენციის კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ქართველმა კალათბურთელმა ეს ჯილდო კარიერაში პირველად მოიგო.

გასულ კვირაში სეტონ ჰოლმა 2 მატჩი ჩაატარა და ორივე მოიგო, ხოლო მამუკელაშვილი 2-ვე შემთხვევაში პარკეტზე საუკეთესო იყო. ქსავიერთან (85:68) სანდრომ 18 ქულა, 7 მოხსნა და 3 პასი, ხოლო ბატლერთან (68:60) 24 ქულა, 9 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. ამ 2 მატჩში მისი საშუალო მაჩვენებელი 21 ქულას, 8 მოხსნას და 4 პასს შეადგენდა.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა კალათბურთელმა მიმდინარე სეზონი შესანიშნავად დაიწყო და სეტონ ჰოლის ლიდერია, მისი გუნდი კი კონფერენციაში 5 მოგებითა და 1 წაგებით მეორე ადგილზეა.

თორნიკე შენგელიამ მოსკოვის ცსკა-ში ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ქართველმა ფორვარდმა არმიელებს ვთბ ლიგის მატჩში, ნიჟნი ნოვგოროდის წინააღმდეგ ულიდერა, რომელიც მოსკოველებმა დამაჯერებლად – 83:63 მოიგეს.

შენგელიამ 21 წუთში 22 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. თორნიკემ 9-დან 6 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, მისი ეფექტურობის კოეფიციენტი კი 24 გამოვიდა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი გამოდგა და მატჩის მვპ გახდა.

11 მატჩიდან 9 გამარჯვებით ცსკა ვთბ ლიგაში მე-2 ადგილზეა. შემდეგ მატჩს მოსკოველები სტუმრად სარატოვთან ჩაატარებენ.

წარუმატებლად დაიწყო 2021 წელი ყატარის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველი ლეგიონერებისთვის. წააგო როგორც მიხეილ ბერიშვილის ალ შამალმა, ასევე დუდა სანაძის ალ ხორმა, თანაც, ეს უკანასკნელი დაშავდა და თამაშს ნაადრევად გამოეთიშა.

ალ ხორი ალ ვაკრასთან დიდი ანგარიშით – 64:100 დამარცხდა, დუდამ კი ტრავმა მე-2 მეოთხედის დასაწყისში მიიღო, როდესაც ბურთისთვის ბრძოლისას მეტოქეს შეეჯახა და მარჯვენა ხელი იტკინა. სანაძემ მატჩის გაგრძელება ვეღარ მოახერხა, ხოლო თუ რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა, მოგვიანებით გაირკვევა.

იმ დროისთვის, დუდას მოედანზე 12 წუთი ჰქონდა გატარებული და აქტივში 7 ქულა (4-დან 1 ორქულიანი, 5-დან 1 სამქულიანი, 2 საჯარიმო), 4 პასი, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა გააჩნდა.

დე ბრუინი და სიტი ვაჭრობენ



კევინ დე ბრუინი მანჩესტერ სიტიში 2015 წელს ვოლფსბურგიდან გადავიდა და „ეტიჰედზე“ მსოფლიო კლასის ვარსკვლავად ჩამოყალიბდა. ბელგიელს ახლა შესაძლებლობა ეძლევა, „ქალაქელებთან“ ფაქტობრივად „საპენსიო“ ხელშეკრულება გააფორმოს, მაგრამ არ ჩქარობს.

29 წლის ბელგიელისა და სიტის ამჟამინდელი კონტრაქტი 2022 წლამდეა, კლუბის ბოსებს კი უნდათ, რომ დე ბრუინი მათთან 2025 წლამდე დარჩეს. ცხადია, კონტრაქტის ვადის ასეთ გახანგრძლივებას ხელფასის მნიშვნელოვანი გაზრდაც მოჰყვება.

დე ბრუნინის ახლანდელი გასამრჯელო კვირაში 313.000 ევროს ტოლია. როგორც გითხარით, სიტი ფეხბურთელს ამ თანხის გაზრდას სთავაზობს, მაგრამ ინგლისური მედიის ცნობით, მანჩესტერელთა ნახევარმცველს პირველი შეთავაზება არ მოეწონა.

ბრიტანული მედია იმასაც წერს, რომ კლუბმა ფეხბურთელთან ვაჭრობა კვირაში 360.000 ევროთი დაიწყო. ეს წელიწადში 18,7 მილიონ ევროს უდრის. თითქოსდა, მოთამაშეს მეტი რა უნდა უნდოდეს, მაგრამ ბელგიელი სხვანაირად სჯის:

დე ბრუინი გასულ სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, შემოსავლით კი მე-4 ადგილზეა. მასზე მეტს (წელიწადში 20,3 მილიონ ევროს) იღებენ არსენალელები მესუთ იოზილი და პიერ-ემერიკ ობამეიანგი, ხოლო მანჩესტერ იუნაიტედის მეკარის დავიდ დე ხეას ჯამაგირი წელიწადში 21,8 მილიონი ევროს ტოლია.

მედიის ცნობით, სიტი და დე ბრუინი კვლავ მიუსხდებიან მოლაპარაკებათა მაგიდას...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

გურამ, ჩვენო სიყრმის, ყველასათვის უტყუარო მეგობარო, 40 დღე გადის, რაც შენ ზეციური საქართველოს ბინადარი გახდი. უფალს ისე უყვარდი და შენც მუდმივად უფალზე ლოცულობდი, დარწმუნებულები ვართ, შენი აქაური ცხოვრების წესის შემდეგ აუცილებლად სამოთხეში მოხვდები. შენ ხომ კეთილი და მოსიყვარულე იყავი, ყველა გიყვარდა. თბილო და კეთილო კაცო, ძალიან განვიცდით, ვდარდობთ და გვიჭირს უშენობა. დემური ძალიან დანაღვლიანებულია.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ამინ!

ალალ-მართალო, კეთილო და კარგო „სეფე“, ძალიან გვენატრები. ჩვენი მეგობრობა და სიყვარული უკვდავია.

შენი ძმები ჯიმი, დემური და იბო

ლია სოხაძის გახსენება

9 იანვარს 40 დღეს გადის შენი გარდაცვალებიდან.

შენი ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი დარტყმა იყო ჩემთვის მეუღლის, სოსოს გარდაცვალების შემდეგ. შენც ძალიან იდარდე სოსოს გარდაცვალება.

ამ ბოლო დროს დაგჯაბნა ავადმყოფობამ. პანდემიის შეზღუდვების გამო ვერ გეცით საკადრისი პატივი. ეს ჩემთვის დიდი ტკივილია.

შენ ყოველთვის გიყვარდა ის წრე, რომელშიც ტრიალებდი: ნათესავები, მეგობრები, თანამშრომლები.

მუშაობის დაწყების დღიდან შრომობდი საქართველოს სახელმწიფო არქივში, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ის ყოფილ ლუნაჩარსკის ქუჩაზე მდებარეობდა. როდესაც არქივი ვაჟაფშაველას გამზირის დასაწყისში გადმოვიდა, სხვებთან ერთად თავდადებით მუშაობდი იმ მასალებზე, რომელიც მომავალ თაობას შემოუნახეთ. დიდია შენი ღვაწლი არქივის კინო-ფოტო-ფონო განყოფილების მუშაობაში.

საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე მიგყავდა გადაცემების ციკლი ეროვნული არქივის მასალებზე დაყრდნობით. შენი შრომის შედეგად საზოგადოებამ ნახა მივიწყებული ფირი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რისთვისაც აკაკი წერეთლის პრემია მოგანიჭეს. იყავი არაერთი ქართველის მოღვაწის შესახებ მონოგრაფიის გამოცემის ხელშემწყობი.

შენს გზას კინოსაგანძურის გავრცელებაში აგრძელებს შენი შვილი, ეკა მახარაშვილი და შვილიშვილი დათო ქორქია, რომელიც „პიონერფილმის“ პრეზიდენტად აირჩიეს. გვჯერა, რომ ის ჩვენი სამშობლოს ისეთივე ღირსეული მოქალაქე იქნება, როგორიც შენ იყავი.

ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა!

შენი და ციალა სოხაძე

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. ატომური ენერგიის მისაღები დანადგარი; 4. მინის რეზერვუარი თევზებისა და წყალმცენარეების მოსათავსებლად; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 6. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 8. ექსპონატების მოსათავსებელი საგამოფენო დაფა; 11. ისტორიული სოფელი თეთრი წყაროს რაიონში; 14. თვალის ექიმი; 15. ქიმიური ელემენტი, აირი; 16. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 17. ხიდის საყრდენი ბურჯი; 19. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი; 21. ინდოეთის ეროვნული გმირი; 22. დიდი ქრისტიანული ღღესასწაული.

თარაზულად: 1. დიდი ქრისტიანული ღღესასწაული; 5. წყლის ნაპირებთან ბინადარი ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 7. ფრანგი კინორეჟისორი; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი; 12. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 17. ბრიტანული ლუდხანა; 18. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 20. დეტექტიური ჟანრის ფრანგი მწერალი; 22. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 24. ღვიძლის დაავადება; 25. ავსტრალიური ველური ძაღლი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მურვანიძე; 2. მაკბეტი; 3. სენატი; 4. ფრანი; 5. შტირია; 11. ტუნიკა; 12. ტრიუმი; 14. კოკი; 16. ორატორი; 17. მარკესი; 19. დანელია; 21. ჩანგი; 22. შხარა.

თარაზულად: 6. აუტოდაფე; 7. ღირღიტა; 8. ნუჟრი; 9. კალაძე; 10. ტორტი; 13. ოძეკი; 15. ვოლტიჟიორი; 18. თალმუდი; 20. აკრი; 21. ჩოჩორი; 23. ციცინათელა; 24. სვინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. იზაბელა; 3. სპარინგი; 4. ოსვენციმი; 5. ღალია; 6. აუდიტი; 8. გურონი; 11. კელნერი; 14. მეტრანპაჟი; 15. სათაფლია; 16. ბიჟუტერია; 17. ჩითილი; 19. ხავერდი; 21. სამბო; 22. ზვარე.

თარაზულად: 1. ბიოსფერო; 5. ღალა; 7. ჟიგული; 9. ბარათაშვილი; 10. დეკორტი; 12. სტაინო; 13. ტრიუმფი; 16. ბარიბალი; 17. ჩირი; 18. ცხუმი; 20. გრავიურა; 22. ზალპი; 23. სევილია; 24. რულადა; 25. ბარჟა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 იანვარი

აშშ დოლარი — 3.3028

ევრო — 4.0605

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5209

100 რუსული რუბლი — 4.5061

ამინდის პროგნოზი 6 იანვრისათვის



კლოპი: „ლივერპული უნდა გამოცოცხლდეს“

ლივერპულმა სტუმრად საუთჰემპტონთან 0:1 წააგო. ამ მატჩის შემდეგ იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს გამოცოცხლება სჭირდება და ასე გაგრძელების შემთხვევაში ისინი ჩემპიონები ვერ გახდებიან:

– ნამდვილად ცუდი შეხვედრა ჩავატარეთ და შეტევაში ფანტაზია გვაკლდა, თუმცა ვიცი ჩემი ფეხბურთელების პოტენციალი და იმედი მაქვს, ეს ყველაფერი გამოსწორდება. თუ ჩემპიონატის მოგება გვინდა, მსგავსი შედეგი მომავალში აღარ უნდა დაფიქსირდეს.

სიტის ედენ აზარის შეძენა სურს

მანჩესტერ სიტი სერიოზულად გაძლიერებას აპირებს და მისი ერთ-ერთი სამიზნე ედენ აზარი იქნება, რომელიც რეალში გადასვლის შემდეგ თავის თავს ვერ პოულობს და მუდმივად ტრავმები აქვს. გვარდიოლა მიიჩნევს, რომ აზარი მის გუნდში გაცილებით უკეთ ითამაშებს და თავის პოტენციალს ისევ ბოლომდე გამოავლენს.

რეალი შესაძლოა აზარის გაყიდვის წინააღმდეგი არ იყოს, თუ სიტი ამ ტრანსფერში 80 მილიონს გადაიხდის.

ფილიპო ინძაგიმ დონარუმა შეაქო

ბენევენტოს მთავარმა მწვრთნელმა ფილიპო ინძაგიმ მილანთან მატჩზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდის მეკარე ჯანლუიჯი დონარუმა შესანიშნავ ფორმაშია და მილანის წარმატებები დიდწილად მისი დამსახურებაა.

ინძაგიმ ასევე აღნიშნა, რომ ის მომავალში მილანში დაბრუნებას არ გამორიცხავს.

– დონარუმა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა და მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. მომავალში დონარუმა შესაძლოა თავის პოზიციაზე მსოფლიოში საუკეთესო გახდეს, – განაცხადა ინძაგიმ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნიანგებმა ფეხმძიმე ქალი და მოზარდი იმსხვერპლეს

ზიმბაბვეს ქალაქ მხანგურში ნიანგებმა ორი ადამიანი მოკლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს. პირველი თავდასხმა შაბათ დღეს მოხდა. მტაცებლის მსხვერპლი 14 წლის სკოლის მოსწავლე გახდა, რომელსაც მეშვიდე კლასის დამამთავრებელი გამოცდები ჰქონდა ჩაბარებული.

ამის შემდეგ ნიანგი თავს დაესხა ფეხმძიმე ქალს, რომელიც თევზაობით იყო დაკავებული. რეპტილიამ ის წყლის სიღრმეში იმ დროს ჩაითრია, როდესაც მან სატყუარა დადგა თევზისთვის და მდინარის წყლის ზედაპირზე ხელების დასაბანად დაიხარა. ქალის ცხედარს რამდენიმე საათის შემდეგ მიაგნეს, რომელსაც ხელებსა და ზურგზე ღრმა ნაჭრილობევი აღენიშნებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 იანვრისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი და ემოციური გარემო ოჯახში საქმეების წარმატებით დასრულებაში ხელს შეგიწყობთ. ფინანსური ოპერაციები თამამად განახორციელეთ. **კურო** – მეტი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს. მათ მიმართ ნდობა და სითბო გამოამჟღავნეთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა გულმოდგინედ აკონტროლეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა უშედეგო იქნება, დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა, მაგრამ ეცადეთ, წვრილმან უსიამოვნებებს არ აჰყვეთ. შესაძლოა ძველი კავშირები აღადგინოთ. **ლომი** – პასუხისმგებლობა და მოვალეობის გრძნობა დიდ ენერგიას წაგართმევთ. ნუ იწუწუნებთ. **ქალწული** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **სასწორი** – უსაფუძვლო ოპტიმიზმი გაუმართლებელია. მოვლენები საღად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ღრიანკალი** – ძალზე შემოქმედებითი დღეა. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი და უნარი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინოთ. გარშემომყოფებთან თბილი და ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებებს თავიდან აგარიდებთ. მიღებული ინფორმაცია საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საქმიანი კონტაქტები წარმატებით განვითარდება. **თხის რქა** – ვარსკვლავები ნებისმიერ საქმეში გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებენ. ზედმეტი სიჯიუტე და პრინციპულობა პარტნიორებთან ურთიერთობაში სასურველი არ არის. **მერწყული** – დაგეგმილი შეხვედრები თქვენთვის არასასურველი შედეგით დამთავრდება. ნებისმიერ სიტუაციაში ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – არაფრისმომცემი საუბრები, ცრუ საქმიანობა გარშემომყოფებს თქვენ მიმართ უარყოფითად განაწყობს. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცი მეზობელ ქალს ეკითხება:

– რამდენი წლის ხართ?

– იცით, ქალს წლოვანებას არ ეკითხებიან, თუმცა ამოცანას გეტყვი და გამოიცანით. ჩემი ქმარი ახლა ორმოცდათოთხმეტი წლისაა. ჩვენ შორის სხვაობა 15 წელია...

– ვაიმე, ვერ დავიჯერებ, 69 წლის ხართ... ვფიქრობდი, რომ ხუთი წლით ახალგაზრდა იყავით.

•••

ბავშვი ტელეფონზე რეკავს:

– ალო, სასწრაფოა?

– დიახ.

– ჩქარა მოდით, მამამ წითელი ხალათი და ჩექმები ჩაიცვა, ბამბისგან გაკეთებული წვერები გაიკეთა და ყველას ეუბნება, რომ თოვლის პაპაა.

•••

ერთი ქალი მეორეს უყვება:

– ამ დილით მეგობარი მამაკაცის კოცნამ გამაღვიძა. ჯერ ტუჩებში მაკოცა, მერე ლოყებზე, მერე შუბლზე...

– მერე?

– მერე მე სიამოვნებისგან გავიტრუნე, ამ დროს კი ის ნაძირალა მეუბნება: „რატომ არ გადაიქეცი მზეთუნახავ პრინცესად?“...

•••

ყველაზე აქტუალური საახალწლო სმს შეტყობინება:

– თუ თქვენ ამ შეტყობინებას კითხულობთ, გამოდის, რომ გასული წელი თქვენთვის მთლად ურიგო არ ყოფილა...



მაია ასათიანი ამღერდა

თოქ-შოუ „პროფილის“ წამყვანი მაია ასათიანი ამღერდა. საახალწლო გადაცემისთვის მან ნოდიკო ტატიშვილთან ერთად დუეტი ჩაწერა.

მაიამ და ნოდიკომ არჩევანი ნუგზარ ერგემლიძის ცნობილ სიმღერაზე „თუკი გესიზმრები“ შეაჩერეს და სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით შესთავაზეს მაყურებელს.

ტატო გოდერძიშვილმა ილია მეორეს სიმღერა მიუძღვნა

„კათოლიკოს პატრიარქს“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს მიუძღვნა.

სიმღერაზე ვიდეოს გადაღებები მცხეთის სამთავრო მონასტრის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ტატომ ახალი ნამუშევრის პრემიერა ათასობით მაყურებელს ტელევიზიით წარუდგინა და უძლიერესი შესრულებით შექებაც დაიმსახურა.

გელა ჩარკვიანი: „მჯერა, რომ არნახული ცოდნით შეიარაღებული დღევანდელ კაცთა მოდგმა სძლევს ჟამიანობას“

– ასე მიაჩნია მწერალსა და მუსიკოსს გელა ჩარკვიანს და ახალ წელს ახალი იმედებით ხვდება:

– ახალგაზრდობაში ჩემთვის რომ ვინმეს ემარჩიელა, 2021 წლის შემოსვლას მიულოცავ შენს მკითხველსა და მეგობრებსო, სულელად ჩავთვლიდი. არადა, აგერ შემოდის ეს ახალი წელი და მეც აქ ვარ. კომპიუტერს ვუზივარ და მის კლავიატურაზე ვეჭიდები ჩვენი საოცარი დედაენის გრამატიკასა და ლექსიკას, იმისათვის, რომ ტექსტი გავმართო. ადრეც მითქვამს, ამქვეყნად ისეთი არაფერია, რაც ჩვენს იდუმალებით აღსავსე სამყაროში არ შეიძლება მოხდეს.

ასევე არ წარმომედგინა, რომ ცხოვრებაში ჭირიანობას მოვესწრებოდი, რომ უხილავი ავსული შუა საუკუნეებში დაგვაბრუნებდა და ამდენ უბედურებას მოუტანდა კაცობრიობას. გულწრფელად ვიზიარებ ყოველი იმ ადამიანის დარდსა და ვარამს, ვინც საყვარელი არსება დაკარგა.

ჩვენ, რომლებიც ახალი წლის შემოსვლას ცოცხლები ვხვდებით, ძნელი თვეების გამოვლა მოგვიხდა. ჭირმა ძირეულად შეცვალა ჩვენი ჩვეული ცხოვრების წესი, ბოროტად დაგვაშორა ერთმანეთს, გააუქმა კოცნა, ჩამოსართმევად გაშლილი ხელისგულები მუშტებად აქცია და შინ დაგვაგდო.

არ ვიცი, როგორ ეგუებოდნენ მარტოობას მეგობრებისგან მოწყვეტილი ჩემი თანატოლები, მე კი წარმოვიდგინე, რომ დამაპატიმრეს გაუგებარი, კაფკასეული ბრალდებით, განუსაზღვრელი ვადით. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. ჩემს ძველ სიყვარულს, ფილოსოფიას დავუბრუნდი. ძალა მოვიკრიბე და შევეცადე ახლა მაინც შემეღწია იქ, სადაც ინახება სამყაროს საიდუმლო. ვერა, ვერ შეხვალ. კარი საიმედოდაა ჩარაზული. კერბეროსიც ადგილზეა, მეტისმეტად ურჩ ცნობისმოყვარეებს რომ გაჰკრას შხამიანი ეშვი.

შეეშვი დაუძლეველ ამოცანებთან ჭიდილს და თავი უფრო მარტივი, ადამიანური ამბებით შევიქციე. გადავწყვიტე აღმედგინა ჩემი ცხოვრების მდინარება დაბადებიდან დღემდე. გავიხსენე ყველაფერი, ყველა ეპიზოდი და მათში მონაწილენი... და, აი, საოცრება! ახლებურად, სხვა კუთხით, დავინახე საკუთარი თავი. ამგვარი ძვრა იქნებ სხვებმაც გამოსცადეს. კინაღამ წამომცდა, ზოგი ჭირი მარგებელია-მეთქი. არა, არ მინდა. ჭირს ვერაფერს მოვუწონებ და გაქრობის მეტს ვერაფერს ვუსურვებ.

მჯერა, რომ არნახული ცოდნით შეიარაღებული დღევანდელ კაცთა მოდგმა სძლევს ჟამიანობას და დაგვიბრუნებს უწინდელი ცხოვრების ხალისს.

გიორგი გასვიანი და მარიტა მელიქიშვილი ჯვრისწერისთვის ემზადებიან

მსახიობი გიორგი გასვიანი და მისი რჩეული მარიტა მელიქიშვილი ჯვრისწერისთვის ემზადებიან.

გიორგიმ თავისი რჩეული საახალწლოდ წარუდგინა საზოგადოებას და შექებაც დაიმსახურა.

მარიტამ და გიორგიმ ერთმანეთი ბათუმში გაიცნეს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი მარიტაზე 16 წლით უფროსია, ეს მათ ურთიერთობას პრობლემას არ უქმნის.

როგორც წყვილმა განაცხადა, ისინი პანდემიის დასრულებას არ დაუცდიან და სტუმრებს პირბადეებით ჯვრისწერაზე ეპატიჟებიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ქალაქის თავი, მერი ჩეხეთში; 2. უნგრელი მოჭადრაკე დების გვარი; 3. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლა-მანშის სრუტეში; 5. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 11. ყვითელი ფერის დაბალი ხარისხის შაქარი; 12. ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 14. ზღვის ღელვისგან დამცავი გრძელი კედელი ნავსადგურის შესასვლელთან. 16. საქართველოს ეროვნული გმირი; 17. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე მსხვილი კალიბრის საფანტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. დასაკეცი ჯიბის დანა; 22. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 6. ჩხუბის, აყალმაყალის გამომწვევი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 8. კოვბოების შეჯიბრი; 9. ქართველი ავტომრბოლელი; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. ასფალტზე სასრიალო გორგოლაჭიანი მოწყობილობა; 18. ძვირფასთვლებიანი ქალის თავსამკაული; 20. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 21. გვარი, ჯიში, მოდგმა; 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. ცნობილი ქართველი მეანგინეკოლოგი, აკადემიკოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა